პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

მეხუთე წელიწადი

კომუნისტი

საქართ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტის
და სრულიად საქართველოს მუშათა,
გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცენტრ. აღმასკომის
ორგანო

რედაქცია
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 24, მეორე სართული

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი 24 მეორე სართული, ტელეფონი 10—49.

რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმეებისა 10—11 ს.
ტელეფონები (რედაქტორის 14—76
(მდივანის 10—58

ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახ. 75 კ., დანარჩენებისათვის: ქალაქში 1 მ. ქალაქს გარეშე—1 მ. 20 კ., ხელისმომწერნი მიიღებენ „ჩირაღდანს" და „მეცნიერება და ტექნიკას". განცხადებები: ნომპარელის სტრიქონი—20 კ., აწყობა ციფრებით—25 კ. სამგლოვიარო—5 მან. დოკუმენტების დაკარგვა 50 კ. განცხად. მიიღება 3 ს.

ექსპედიციის ტელეფ. 5—48, სტამბის ტელეფონი 13—80.

დღის ამბები

— ამხ. კერჟენცევი მიიღო მუსოლინიმ.

— მოსკოვში ჩამოვიდა ინგლისელ მუშა-ქალთა დელეგაცია.

— ქურთების აჯანყება სრული დამარცხებით დამთავრდა.

— ინგლისი ახალ ინტრიგებს აწარმოებს ოსმალეთსა და სპარსეთში.

— დაიწყო საფრანგეთ-ოსმალეთის მოლაპარაკება.

— ინგლისში ბრძოლა მეწარმეებსა და მუშებს შორის მწვავდება.

ოთხშაბათი, 29 აპრილი 1925 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კაპ. № 96 (1251)

საწარმოო ძალების განვითარება სოფლად

საბჭოთა კავშირის სახელმწიფო მრეწველობა მკვიდრი და სწრაფი განვითარების გზაზეა შემდგარი. თუ ახალ ეკონომიურ პოლიტიკაზე გადასვლის დროს მისი პროდუქცია უდრიდა ომის წინა ხანის დამზადების სულ რაღაც 18 პროცენტს, დღეს იგი ავიდა უკვე 70 პროცენტამდე.

მიუხედავად ამისა, ჩვენი მრეწველობა ჯერ ჯერობით მაინც ვერ აკმაყოფილებს სოფლის მთელ მოთხოვნილებას, რომელიც ბოლო ხანებში მეტად გაიზარდა გლეხობის ეკონომიური მდგომარეობის ნიადაგზე.

და აქ მნიშვნელობა ენიჭება შინამრეწველობის განვითარებას. გარდა იმისა, რომ იგი შეავსებს მრეწველობის დანაკლისს და ბაზარზე დიდძალ საქონელს გამოისვრის, რომელიც ასე ესაჭიროება გლეხობას,—შინაწარმოების აღორძინება თვით ქალაქის მრეწველობისათვის შექმნის განვითარების ხელსაყრელ პირობებს, მიაწვდის მას მისთვის აუცილებელ ნედლ და ნახევრად ნედლ მასალას.

საქართველოსათვის ხომ შინამრეწველობას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, რამდენადაც ჩვენში მსხვილი, საქალაქო წარმოება სუსტია.

ჩვენში კიდევ ძალიან გავრცელებულია სახალხო მეურნეობის ეს დარგი. იშვიათია ისეთი ოჯახი, რომელიც, მიწის დამუშავებასთან ერთად, არ მისდევდეს რომელიმე შინაწარმოებას, რომელიც მისთვის არსებობის დამხმარე, ხშირად მეტად საგრძნობ წყაროს წარმოადგენს. მჭედელი, მეჭურჭლე, ნაბდების, შალების, ხალიჩა-ფარდაგების მქსოველი, მეაბრეშუმე და სხვა ბლომად მოიპოვებიან ჩვენს სოფლებში.

აი, ამ შინამრეწველებს უნდა აღმოუჩინოთ სათანადო დახმარება. ამ მხრივ ჩვენი სოფლისათვისაც არ არის მნიშვნელობას მოკლებული საკავშირო მთავრობის დადგენილება შინამრეწველთათვის შეღავათების მიცემის შესახებ,—ისინი თითქმის სავსებით თავისუფლდებიან ყოველგვარი გადასახადისაგან. ვამბობთ— ჩვენი სოფლისათვისაც, რადგან აქ მაინც, სოფლის შინამრეწველობის, დაბეგვრა არ სწარმოებდა. ამას ადგილი ჰქონდა განსაკუთრებით რუსეთში. მაგრამ ჩვენ გვაქვს ცნობები, რომ ბოლო დროს ჩვენშიც დაიწყეს აქა-იქ სოფლის შინამრეწველთა დაბეგვრა, მაგ., ჩვენ ამას წინედ მივიღეთ ცნობა, რომ ერთ სოფელში ფინინსპექტორს სამჭედლო დაებეჭდა, რადგან მის პატრონს ვერ შეეტანა შეწერილი სასარეწაო გადასახადი. ხსენებული დადგენილების შემდეგ, ასეთ მოვლენებს ადგილი არ ექნება, და შინამრეწველებს, რომელნიც არ ეწევიან სხვისი შრომის ექსპლოატაციას, არ დაამძიმებს საგადასახადო ტვირთი.

საკავშირო მთავრობის დადგენილებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ქალაქის მრავალრიცხოვან ხელოსნებისა და შინამრეწველთათვის, რადგან მათზე შეწერილი გადასახადი საკმაოდ დიდი იყო. მაგრამ ჩვენ დღეს მათ არ ვეხებით,—ჩვენ ვლაპარაკობთ მხოლოდ სოფელზე.

ჩვენი სოფლის შინამრეწველთ უფრო ესაჭიროებათ სხვაგვარი დახმარება. ესაა ერთი მხრით მათთვის საჭირო მასალის და იარაღების მიწოდება, მეორე მხრით—მათი ნაწარმოების გასაღების საკითხის მოგვარება.

მაგ., დასავლეთ საქართველოში, სადაც მისდევენ შალის და ნაბდის მოქსოვას, ძალიან არიან შევიწროებული მატყლის უქონლობით. თავის შინაწარმოების საგნების გასაღება გლეხობისათვის ხომ თავსამტვრევ საკითხადაა გადაქცეული. ისინი ამისათვის ცალ-ცალკე მიდიან მახლობელ ქალაქებში—თავისი ნაწარმოებით, ან სოფლებში მოწანწალე ჩარჩს უგდებენ თავის ნამუშევარს ჩალის ფასად.

აი, ამას უნდა მიექცეს ყურადღება. კოოპერაციამ უნდა შესძლოს მათი შეკავშირება, მათი მომარაგება საჭირო საგნებით, მათი ნაწარმოებისათვის ბაზრის შოვნა, აგრეთვე კრედიტის მიცემა მათთვის.

სოფლის საწარმოო ძალების აღორძინებისათვის, გლეხური მეურნეობის განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე საკავშირო მთავრობის მეორე დადგენილებასაც. ჩვენ ვლაპარაკობთ ამას წინედ გამოცემულ „დაქირავების დროებითი წესებზე სოფლის მეურნეობაში". დღემდე სოფლად მუშა ხელის თავისუფლად დაქირავება შეზღუდული იყო. დაქირავებული მუშა ხელის ფართოდ გამოყენება არც იყო შესაძლებელი. რევოლიუციის პირველ წლებში შეიქმნა ისეთი მდგომარეობა, რომ გლეხი მუშაობდა თითქმის მარტო თავისი ოჯახის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად; მისმა მეურნეობამ ნატურალური ხასიათი მიიღო. ამისათვის კი საკმარისი იყვნენ თვით გლეხის ოჯახის წევრები.

ბოლო ხანებში სოფელს აღორძინება დაეტყო. იგი ეწევა ინტენსიურ კულტურას, ამზადებს საბაზრო საქონელს. აქ გლეხს ხშირად ესაჭიროება გარეშე დამხმარე მუშა ხელი. მისი დაქირავება აქა-იქ კიდეც ხდებოდა, მაგრამ ამას ერთგვარი არალეგალური ხასიათი ჰქონდა.

ხსენებული „დროებითი წესებით" ამ მხრივ იცვლება მდგომარეობა. სოფლის მეურნეს უფლება ენიჭება თავისუფლად დაიქირავოს მუშა ხელი. ამასთან, თავისთავად ცხადია, რომ „წესებში" სავსებითაა დაცული სოფლის მუშა ხელის ინტერესები.

როგორც შინამრეწველობის განვითარებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა, რომლებზედაც ზევით ვლაპარაკობდით, ისე მუშა ხელის თავისუფალი დაქირავების შემოღება, ხელს შეუწყობს სოფლის მეურნეობის შემდგომი აღორძინებას, სოფლად საწარმოო ძალების განვითარებას, ამასთან იგი შეანელებს უმუშევრობას სოფლად, რომელიც ასე ფართედაა იქ მოდებული.

შენიშვნები

მუშკორი და გლეხკორი

ბევრი თქმულა და დაწერილა ამ უკანასკნელ წლების განმავლობაში, **მუშა და გლეხ კორესპონდენტების** შესახებ, ე. ი. იმ მუშებზე და გლეხებზე, რომლებიც თავის შენიშვნებს, თავის მოსაზრებებს და დაკვირვებებს გზავნიან გაზეთებში მოსათავსებლად. მართლაც ჩვენში არიან ისეთი მუშები და გლეხები, როგორც ისინი იყვნენ წინედაც, ე. ი. იმ დროს, როცა ნამდვილი მუშურ-გლეხური ჟურნალ-გაზეთობა მხოლოდ იატაკ ქვეშ იბეჭდებოდა. ეს იმიტომ იყო ასე, რომ იმ დროს მუშის და გლეხის ინტერესების დაცვა დანაშაულს შეადგენდა. დღეს პირობები ძირიანფესვიანად შეიცვალა. როგორც კომუნისტური პარტია, ისე საბჭოთა ძალაუფლება მოწოდებული არიან სწორედ ამ ინტერესების დასაცავად.

შეიძლება ვისმეს კიდევაც გაუკვირდეს და იკითხოს: ნუ თუ მუშურ-გლეხური ხელისუფლების დროს, როცა სახელმწიფო ძალა-უფლება სწორედ თვით მუშების და გლეხების ხელშია, კიდევ საჭიროა ამავე მუშების და გლეხების ინტერესების დაცვაო? ჩვენ ვამბობთ, რომ აუცილებლათ საჭიროა, რადგან ჯერ კიდევ არსებობს ჩვენში **უთანასწორობა ქონების** მხრით, რადგან ჯერ კიდევ არიან მდიდრები და ღარიბები. მართალია, მთელი ჩვენი მუშაობა მიმართულია ამ უთანასწორობის მოსპობისაკენ, მაგრამ ამ მიზნის მიღწევა, მისი განხორციელება ჯერ კიდევ საკმარისად ხანგრძლივ მუშაობას თხოულობს. და სანამ ამ მიზანს მივაღწევდეთ, საჭიროა და აუცილებელი იქნება მუშების და გლეხების ინტერესების დაცვა იმათ წინააღმდეგ, ვინც ამ ინტერესებს შელახავს.

თავის თავად იგულისხმება, რომ საბჭოთა ხელისუფლება, დაწყებული ძირიდან და გათავებული სათავეთი, ემსახურება საერთოდ მთელ მუშათა კლასს, იცავს ყველა მუშების და ყველა მშრომელ გლეხების ინტერესებს. მაგრამ მეტად ძნელია და ხანდისხან თითქმის შეუძლებელიცაა ყველა შემთხვევებში ამ მიზნის მიღწევა. ხშირია ისეთი შემთხვევები, როცა საბჭოთა ორგანოები ან ვერ ხედავენ და ვერ ამჩნევენ მუშების და გლეხების ინტერესების შელახვას ან თვითონ ჩადიან ამ დანაშაულს. ასეთი მაგალითები, სამწუხაროთ, ჩვენ გვაქვს არა ერთი და ორი. აი სად შეუძლია მუშა-კორესპონდენტს ან გლეხ-კორესპონდენტს დიდი სამსახურის გაწევა. როგორც ერთი, ისე მეორე უნდა იდგენ **მუშების და გლეხების ინტერესების სადარაჯოზე**. ეს ნიშნავს იმავე დროს საბჭოთა ხელისუფლების კანონების დაცვას. რა თქმა უნდა, ეს დაცვა ყველა მუშის და ყველა გლეხის მოვალეობაა. დეე ნურავინ იფიქრებს, რომ კორესპონდენტობა ანუ გაზეთში წერილების გზავნა თითქო რომელიმე მუშის ან გლეხის უპირატესობას ან უფლებას შეადგენდეს. **არაშემთხვევაში.** პირიქით, **ეს ყველა მუშის და ყველა გლეხის მოვალეობაა.** და არა მარტო უფლება, ისეთი მუშის და ისეთი გლეხისაც კი, რომელიც უსწავლელია, რომელმაც წერა-კითხვაც კი არ იცის. ასეთი მუშა ან გლეხი ყოველთვის მოახერხებს, თუ მოინდომებს, თავისი ამხანაგის, წერა-კითხვის მცოდნე მუშის ან გლეხის დახმარებით თავისი ხელმოწერით გაგზავნოს გაზეთში წერილი იმის თაობაზე, რაც მას საჭიროდ მიაჩნია. ეს აუცილებლად უნდა შეიგნოს ყველა მუშამ და ყველა გლეხმა. კიდევ ვიმეორებ, კორესპონდენტობა, გაზეთში თავისი შენიშვნების გაგზავნა, მხილება გაზეთის საშუალებით სხვადასხვა ბოროტმოქმედებათა, არავის განსაკუთრებულ უფლებას არ შეადგენს. ეს რომ ასე ყოფილიყო, მაშინ მუშკორის და გლეხკორის დანიშნულება დაკარგავდა თავის არსებით მნიშვნელობას, ვინაიდან გაზეთში წერილის გაგზავნა **ხელობად** გადაიქცეოდა. ეს კი დაუშვებელია.

უნდა ითქვას, რომ ასეთი ცდა იყო და არას დღესაც. როგორც ვიცით, მუშკორები და გლეხკორები თავის საკუთარ ორგანიზაციებს ქმნიან, აარსებენ საკუთარ ორგანიზაციებს, ბიუროებს, იწვევენ კრებებს, კონფერენციებს, სცემენ საკუთარ გაზეთებსაც კი. პირველ ყოვლისა უნდა განვაცხადოთ, რომ გაზეთში კორესპონდენციის ანუ წერილის გაგზავნა სხვა და სხვა ნაკლზე ან დუხჭირ მოვლენებზე სრულებით არ ნიშნავს **მწერლობას**, ესე იგი იმას, რომ ასეთი კორესპონდენტი მწერალია ან იგი **უთუოდ** მწერალი უნდა გახდეს.

შეიძლება რომელიმე მუშკორი ან გლეხკორი მართლაც მწერალი ან პროფესიონალური ჟურნალისტი გახდეს, მაგრამ ეს არაა კანონი, ესაა გამონაკლისი. მუშკორისა და გლეხკორის დანიშნულება სულ სხვაა.

ამიტომ მე ვამბობ, რომ თუ ჩვენმა მუშა-კორესპონდენტებმა ან გლეხკორესპონდენტებმა გაზეთებში წერა ქალაქის თუ სოფლის მუშის პირვარამზე **ხელობად გადააქციეს ან მიზნად დაისახეს პროფესიონალურ მწერლებად და ჟურნალისტებად** გადაქცევა, ეს იქნებოდა მუშა და გლეხ-კორესპონდენტის პირდაპირი დანიშნულების გზიდან გადახვევა და სრულიად სხვა მიზნების დასახვა. ამიტომ არავითარი განსაკუთრებული ორგანიზაცია მუშკორების და გლეხკორებისთვის, არავითარი განსაკუთრებული უფლებები იმათთვის. ამას ყველანი უარყოფენ სიტყვით, მაგრამ **საქმით** ხშირად არღვევენ. არსებობენ მუშკორების განსაკუთრებული ორგანიზაციები, კლუბები და ბიუროები, კრებებს და კონფერენციებს რომ თავი დავანებოთ. მე ვფიქრობ, რომ ეს საჭირო არაა, ჩვენი სინამდვილე ამას სრულებით არ თხოულობს. პირიქით, ეს გამოიწვევს ამ კორესპოდენტების გამოცალკევებას გამოთიშვას და იმავე დროს კორესპოდენციის წერის ხელობად გადაქცევას, რაც საქმეს ავნებს.

მუშკორი ან გლეხკორი, რომელიც ეთიშება საერთო ორგანიზაციებს, კლუბი იქნება ეს თუ სხვა რაიმე პროფესიონალური ორგანიზაცია, ვეღარ შესძლებს კორესპონდენტის მოვალეობის სათანადოდ შესრულებას, იგი უთუოდ მოჰყვება ვისმე გავლენის ქვეშ, ძალაუნებლიედ ჩავარდება ისეთ მდგომარეობაში, რომ მან უთუოდ ვისმეს უნდა ასიამოვნოს, ესე იგი ამ ნიადაგზე უთუოდ პირადი ინტერესები წამოიჭრებიან, ესე იგი ამ ნიადაგზედაც ჩვენ შევქმნით ისევ ბიუროკრატიულ წესებს, ესე იგი იმას, რასაც ჩვენ ვებრძვით, რის მოსპობა ჩვენ გვინდა სხვათა შორის ამ კორესპონდენტების დახმარებითაც.

ერთი სიტყვით მე ვამბობ იმას, რომ სრულებით საჭირო არაა რაიმე განსაკუთრებული ორგანიზაციის შექმნა ან განსაკუთრებული უფლებების მინიჭება, რომ მუშა-კორესპონდენტმა ან გლეხ-კორესპონდენტმა შეასრულოს თავისი მოვალეობა პირნათლად; პირიქით, ასეთი განსაკუთრებული პირობების შექმნა მათ ხელს შეუშლის ამ მოვალეობის შესრულებაში. უნდა ვიცოდეთ, რომ ხელოვნურად ჩვენ ვერ შევქმნით იმ გლეხ-კორესპოდენტებს რომლებმაც გამოააშკარავეს ისეთი სისაძაგლე, როგორიც არის **დიმოვკა რუსეთში** (გლეხკორი **მალინოვსკი**). ასეთი დიმოვკები და შეიძლება კიდევ უარესი (მაგ. ნახიჩევანი) ჩვენშიაც ბევრი მოიპოვება. მაგრამ ჩვენ გვიან ვებულობთ ამას, თუმცა ხალხი კი ყოველივე ამას ხედავს. და განა რომელიმე ორგანიზაციას შეუძლია ეს აღმოაჩინინოს ვისმეს? არა. ასეთ „აღმომჩენელს" თვით ცხოვრება ბადებს: ხელოვნურად, ზევიდან მას ვერ შევქმნით. მაშინ რაღა საჭირო იქნება კორესპონდენტის ძებნა და მისი მომზადება? ხელისუფლება უკვე თითონ მიიღებს საჭირო ღონისძიებას ბოროტმოქმედების წინააღმდეგ. ასე გვესმის ჩვენ მუშა-კორესპონდენტის და გლეხ-კორესპონდენტის როლი და დანიშნულება. რა თქმა უნდა, აქ არაფერი ახალი არაა. არსებითად ეს იყო ყოველთვის, და მე მგონია, რომ ის, რაც ზევითაა ნათქვამი, საქმისთვის უფრო მიზანშეწონილი და სასარგებლო იქნება.

დასასრულ აი კიდევ რა უნდა აღვნიშნო აქ. არის შემთხვევები, როცა მუშკორს ან გლეხკორს თვით რედაქციები სხვა და სხვა დავალებებს აკისრებენ, როგორც, მაგ., გაზეთის გავრცელებას ან ხელისმომწერლების შოვნას, ეს კი სულ არვარგა. ასეთი კორესპონდენტი თავის მოვალეობას ვეღარ შეასრულებს, იგი შეიქნება რედაქციის მოხელე ან აგენტი, და მეტი არაფერი.

ის კორესპონდენტი, რომელიც სწერს გაზეთში სოფლის თუ ქალაქის ნაკლზე, უნდა იყოს უანგარო და არ უნდა იყოს შებოჭვილი რაიმე პროფესიონალური ორგანიზაციით. მხოლოდ ამ შემთხვევაში შესძლებს იგი სრული სიმართლის გამომჟღავნებას. მხოლოდ ამ შემთხვევაში შესძლებს იგი ნამდვილი სარგებლობის მოტანას.

ფ. მახარაძე.

ჩვენი ეკონომიური ამოცანები

II

ერთ საყურადღებო მოხსენებაში ჩვენი წარმოკავშირი საქართველოს შემდეგი სიტყვებით ახასიათებს: „საქართველო შეიძლება დავახასიათოთ, როგორც მჭიდროთ, ალაგ-ალაგ ზედმეტათ დასახლებული აგრარული ქვეყანა, რომელსაც აქვს შესაძლებლობა გაავითაროს სამთო და საფაბრიკო-საქარხნო მრეწველობა და სადაც სოფლის მეურნეობაში ევოლიუცია გამოირკვა იმ მხრით, რომ იქ ვითარდება ძვირფასი ინტენსიური კულტურა სხვადსხვა მოგებიან დარგებში, სადაც მუშაობს მოსახლეობის 80 პროც. მეტი". ეს სიტყვები სწორად გამოხატავს მდგომარეობას. მართლაც, მიუხედავათ იმისა, რომ საქართველოში ბუნებრივი პირობები, გეოგრაფიული მდებარეობა უაღრესად ხელს უწყობს სამთო და საფაბრიკო-საქარხნო მრეწველობის განვითარებას, საქართველო ისტორიულ-პოლიტიკურ მიზეზების გამო დღესაც თითქმის მხოლოდ სოფლის მრეწველობის ქვეყანაა.

საქართველოს ტერიტორიის სივრცე დღეს უდრის 7240 ათას დესიატინას და აქედან უკავია: ტყეებს—1.600 ათასი დესიატინა, საძოვრებს საბალახოებს—1860 ათასი დესიტ. და დაახლოვებით სხვა და სხვა კულტურისათვის გამოსადეგი მიწების სივრცე დღეს უდრის 1430 ათას დესიტინას.

სოფლის მეურნეობაში ჩაბმულია არა ნაკლები 400.000 მეურნისა. მიწად მოქმედების კომისარის ალ. გეგეჭკორის მოხსენებიდან ვხედავთ, რომ 1923 წ. ქალაქებში და ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილების მოსახლეობა უდრიდა 502,3 ათას (20,4 პრ.) სულს და სოფლის მოსახლეობა კი 1.954,5 ათას (79,6 პრ.) სულს. მაგრამ ეს უკანასკნელი რიცხვი საგრძნობლად უნდა იქნეს გადიდებული, რადგან ჩვენი დაბა-ქალაქების მოსახლეობათა დიდი ნაწილი სოფლის მეურნეობას ეწევა და ირიცხება კი ქალაქის მცხოვრებლად.

სოფლის მეურნეობის და ქალაქის მრეწველობის ნაწარმოებთა ღირებულებებს თუ ერთი-მეორეს შევადარებთ, აქაც ნათელი იქნება, რომ სოფლის მეურნეობის ნაწარმოების ღირებულება ბევრჯერ აღემატება ქალაქის ნაწარმოების ღირებულებას. ალ. გეგეჭკორი ამბობს: „დაახლოებითი ვარაუდით სოფლის მეურნეობის საერთო წლიური შემოსავალი 1909—1913 წლებში უდრიდა 5,79 მილ. მანეთს, მრეწველობის საერთო შემოსავალი კი 8,6 მილ. მანეთს, მაშასადამე სოფლის მეურნეობის შემოსავალი ამ წლებში შეადგენდა ჩვენი საერთო შემოსავლის 91 პროც." მისივე ცნობებით 1923—24 წელში საქართველოს მრეწველობის ნაწარმოების ღირებულება უდრიდა 11,6 მილ. მანეთს და სოფლის ნაწარმოების ღირებულება კი—72 მილ. მანეთს. ავტორი სამართლიანად აღნიშნავს, რომ „შეფარდება ცოტაოდნათ შეცვლილია მრეწველობის სასარგებლოდ, მაგრამ საერთო სურათი იგივეა: ჩვენი სახელმწიფოებრივი დოვლათის უდიდესი ნაწილის შემქმნელი სოფელია, სოფლის მეურნეობა გაცილებით სჭარბობს მრეწველობას თავისი მნიშვნელობით სახელმწიფოს ეკონომიისათვის".

სახელმწიფოებრივი დოვლათის ღირებულების გამოკვლევა ძალიან მძიმე საქმეა საერთოდ და მით უფრო ძნელია ეს ჩვენს პირობებში, როდესაც სათანადო სტატისტიკური და სხვა მასალები არ მოიპოვება. საკვირველია, საქართველოს ეროვნული შემოსავალი 104,3 მილ. მანეთს აღემატებოდა ომამდე, დღეს კი საეჭვოა, რომ ის 83,6 მილიონსაც უდრიდეს. მართალია, ეროვნული შემოსავალი 1913 წ. და 1924 წ. ერთი მეორისაგან მხოლოდ 20 პროც. რომ განსხვავდებოდეს, მატერიალური შევიწროება დღეს ასეთი არ იქნებოდა, მაგრამ საქმე იმაშია, რომ დღევანდელი მანეთი ბევრათ განსხვავდება 1913 წლის მანეთისაგან. მდგომარეობის თითქმის მთელი სიმძიმე ამ ორი სხვადასხვა დროის მანეთების ღირებულებათა შორის არსებულ განსხვავებაშია. ეს ღირებულებითი განსხვავება 104,3 მილ. და 83,6 მილ. შორის—არსებულ 20 პროც.-ის განსხვავებას ადიდებს ორჯერ მაინც და ასეთ პირობებში 1913 წელთან შედარებით 1924 წლის ჩვენი ეროვნული შემოსავალი, მცირეა.

ზევით მოყვანილი ცნობები საკმაოდ ჰფენს ნათელს იმ გარემოებას, რომ საქართველოს მოსახლეობა ცხოვრობდა და კიდევ დიდ ხანს იცხოვრებს სოფლის მეურნეობით და იმ წარმოებებით, რომელნიც სოფლის მეურნეობასთან მჭიდროთ არიან დაკავშირებული. ასეთი წარმოებებია: მეღვინეობა, შალეულობის, აბრეშუმის ნაწარმოების, თუთუნის, პაპიროსის, ტყავეულობის დამზადება, ფეხსაცმელის შეკერვა, ჩაის დამზადება; შემდეგ ბორჯომის წყლის ექსპლოატაცია და ტყის ექსპლოატაციას ჰქონდა და აქვს დიდი მნიშვნელობა ჩვენს ცხოვრებაში.

ამ დარგების აღორძინების საკითხთან ერთად სდგას უკიდურესად გაფუჭებულ გზების და არა ნაკლებად დაზიანებულ შენობების შეკეთების საკითხი. გზების მოწყობა და შენობების დანგრევიდან გადარჩენა—ეს ორი უდიდესი ამოცანაა, რომელსაც განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს.

აქ აღნიშნულ ამოცანების ფარგლებში უნდა სწარმოებდეს ჩვენი საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი მოღვაწეობა. მეტის გაკეთებისათვის საჭირო ძალა ჩვენ არ შეგვწევს და ზედმეტ საქმეებს თუ ჩვენ ხელი მოვკიდეთ, მაშინ არამც თუ ამ „მეტის" გაკეთებას ჩვენ ვერ შევსძლებთ, ჩვენ ვერ დავაკმაყოფილებთ ჩვენი მეურნეობის ძირითად მოთხოვნილებებსაც და დღეს დაქვეითებული სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგები სრულიად განადგურდება.

აქ უნდა გავიხსენოთ ერთი ურყევი დებულება: ვისაც სურს დიდ მიზანს რაც შეიძლება მეტი სისწრაფით მიაღწიოს, მან უნდა შეზღუდოს, განსაზღვროს თავისი სამუშაო ასპარეზი და ამ შემოფარგლულ ასპარეზზე მუშაობას მოახმაროს მთელი თავისი ძალ-ღონე. ასეთი პრინციპით ხელმძღვანელობს სერიოზული მეცნიერი მეცნიერული გამოკვლევების დროს და ასეთი პრინციპით უნდა ვიხელმძღვანელოთ ჩვენც ჩვენს საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი მოღვაწეობაში, რომელიც გაცილებით უფრო მეტი საპასუხისმგებლო სფეროა.

მაშ ჯერ მხოლოდ აქ აღნიშნულ ფარგლებში ვიზრუნოთ ჩვენი მეურნეობის აღორძინებისათვის; გამოვარკვიოთ, თუ რა მდგომარეობაშია ჩვენი სოფლის მეურნეობის ძირითადი დარგები და რა უნდა გაკეთდეს, რომ ჩვენი ავადმყოფი მეურნეობა გამოკეთდეს და ნორმალურ კალაპოტში ჩადგეს.

შავი ქვის მრეწველობას ჩვენ სრულიად არ შევეხებით, რადგან მისი ბედიღბალი მსოფლიო მრეწველობასთან არის დაკავშირებული. ჩვენ ძალიან მოკლედ შევეხებით მხოლოდ ზევით აღნიშნულ დარგებს და შევეხებით იმდენად, რამდენადაც ეს საჭიროა მათი ეკონომიური მნიშვნელობის, მდგომარეობის და ფინანსიური საჭიროების გასათვალისწინებლად.

დ. თოფურიძე.

მე-14-ე საკავშირო პარტიული კონფერენცია

ამხ. კამენევის შესავალი სიტყვა

ჩვენი მიღწევები: მრეწველობის აღდგენა სწრაფი ნაბიჯით სწარმოებს.—სოფლად ჩვენი პოლიტიკური გავლენა ძლიერდება.—

ჩვენი ამოცანები: სოფლის საწარმოო ძალების განვითარება.—სამხედრო კომუნიზმის სამეურნეო მეთოდების მოსპობა.—სოფლად კარგი ადმინისტრატორების გაგზავნა.

ამხ. მოლოტოვის მოხსენება პარტიულ-ორგანიზაციულ საკითხებზე

„პარტიის პროლეტარული ძალებით გაძლიერების შემდეგ ჩვენ შეგვიძლია და კიდეც უნდა გადავიტანოთ მთელი ყურადღება პარტიის მუშაობაზე სოფლად".

პარტიის ამოცანები: უპარტიოების წამოყენება საბჭოთა მუშაობაზე—პარტიის უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენს.—„პარტიამ უნდა გააუმჯობესოს მუშაობის მეთოდები, უნდა გააძლიეროს პარტმუშაკების კადრი. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მუშაობას კომკავშირელებს შორის.

„ლენინის მოძღვრებით შეკავშირებული პარტია შესძლებს მის წინაშე დასმული ამოცანების გადაჭრას".

ამხ. კამენევის შესავალი სიტყვა

მოსკოვი, 28 აპრილი. „პარტიის ცეკას დავალებით სრულიად საკავშირო მე-14 პარტიულ კონფერენციას გახსნილათ ვაცხადებ.

დაღუპული ამხანაგების ხსოვნას

სანამ მუშაობაზე გადავიდოდეთ, ნება მიბოძეთ მოგაგონოთ, რომ უკანასკნელი კვირეების განმავლობაში ჩვენმა პარტიამ აუნაზღაურებელი დანაკლისი განიცადა მთელი რიგი ამხანაგების სახით, რომლებიც ყველაზე უფრო პასუხისმგებელ მუშაობას აწარმოებდენ. იმ დანაკლისთა გრძელ სიას, რომლებიც პარტიამ განიცადა თავის რევოლიუციონურ ბრძოლაში ყველა ფრონტებზე, მიემატა ცეკას კანდიდატების სახელები **ვლადიმიროვი, მიასნიკოვი, ნარიმანოვი** და პარტიის ისეთი პასუხისმგებელი მუშაკები, როგორიც იყვნენ **მარხლევსკი, მაგილევსკი, ათარბეკოვი.** ეს ამხანაგები ლენინიზმთან მივიდენ სხვა და სხვა სოციალური ფენებიდან სხვა და სხვა ტრადიციებით, მაგრამ ყველა ისინი გაერთიანდენ ვლადიმერ ილიჩის სახელის და მოძღვრების გარშემო.

ამ ამხანაგებმა სამსახური გაუწიეს ლენინიზმის შემდგომ განვითარებას და ხელი შეუწყვეს პირველი პროლეტარული სახელმწიფოს აშენებას. ისინი ჩვენი კავშირის და მთელი მსოფლიოს პროლეტარიატის ხსოვნაში დარჩებიან, როგორც ლენინის უახლოესი თანამშრომლები.

ჩინეთის რევოლიუციის მამამთავრის ხსოვნას.

კიდევ ერთი სახელი უნდა მოვიგონოთ ჩვენ აქ. საერთაშორისო განმათავისუფლებელმა მოძრაობამ უკანასკნელი დროის განმავლობაში დაკარგა ჩინეთის ხალხის განმათავისუფლებელი მოძრაობის ბელადი აღმოსავლეთის ერთ-ერთი გამოჩენილი რევოლიუციონერი—**სუნ-იატ-სენი.** ის იყო დაჩაგრული კოლონიალური ქვეყნების ისეთი ბელადი, რომელმაც შეიგნო, რომ ბრძოლა აღმოსავლეთის განთავისუფლებისათვის, ბრძოლა იმპერიალიზმის წინააღმდეგ შესაძლებელია მხოლოდ კომუნიზმთან კავშირის დამყარებით, მხოლოდ მუდმივი თანამშრომლობით მსოფლიოში პირველ პროლეტარულ სახელმწიფოსთან. მან ეს უანდერძა თავის თანამშრომლებს და ამით ის დადგა ერთად ერთ სწორ გზაზე, რომელსაც მივყევართ პროლეტარიატის რევოლიუციონურ-კომუნისტური მოძრაობის დაკავშირებამდე აღმოსავლეთის დაჩაგრულ ერების განმათავისუფლებელ რევოლიუციონურ-ანტიიმპერიალისტურ მოძრაობასთან.

მე ვფიქრობ, რომ ჩვენ მოვალე ვართ ღრმა სამძიმარი გამოვუცხადოთ ჩინეთის ხალხს, სუნ-იატ-სენის მიერ შექმნილ პარტია-გომინდანს კი ჩვენი ძმური თანაგრძნობა უნდა გამოვუცხადოთ ბელადის დაკარგვის გამო.

წინადადებას ვიძლევი ფეხზე ადგომით პატივი ვსცეთ მის ხსოვნას (ყველა ფეხზე დგება).

გარდატეხის მომენტი

ჩვენი კონფერენცია შეიკრიბა ისეთ მომენტში, როდესაც შეიძლება ჯამი გავუკეთოთ ჩვენი მრეწველობის აღდგენის პირველ სარეკორდო წელს. **ჩვენი მრეწველობის განვითარების ტემპმა უკანასკნელი დროის განმავლობაში მოლოდინს გადააჭარბა.** ჩვენ, უეჭველათ, მოწმე ვართ იმ პროცესის, როდესაც პროლეტარიატის კონცენტრაციის, ჩვენი სოციალური სიძლიერის აღდგენის და გაძლიერების, პროლეტარული დიქტატურის ძირითადი ბაზის—**ჩვენი მსხვილი სამანქანო ინდუსტრიის განმტკიცების საქმე—სწრაფი ნაბიჯით მიდის წინ.**

ჩვენ ვიკრიბებით იმ მომენტში, როდესაც პარტია საერთო ლოზუნგის ქვეშ: „პირი ვიბრუნოთ სოფლისაკენ" ყურადღებით ადევნებს თვალყურს იმ სოციალურ პროცესებს, რომლებიც ხდება ჩვენი უახლოესი მოკავშირის—გლეხობის მრავალმილიონიან მასაში. **საბჭოების გამოცოცხლების** ლოზუნგის ქვეშ ჩვენმა პარტიამ **გაბედულათ ჩაატარა საბჭოების გადარჩევა, რომელიც საფუძველი უნდა გახდეს ჩვენი შემდგომი პოლიტიკისათვის.**

პარტიის კონკრეტიული ამოცანები

ჩვენი უახლოესი ამოცანა მდგომარეობს იმ საერთო ლოზუნგების კონკრეტიზაციაში, რომლებითაც ჩვენ ვმუშაობდით უკანასკნელი თვეების განმავლობაში, იმ პოლიტიკის სისწორით განსაზღვრაში, რომელმაც კიდევ უფრო უნდა განამტკიცოს მუშების და გლეხების კავშირი—პროლეტარული დიქტატურის საფუძველი, რომელიც ჩვენ ლენინის ანდერძის თანახმათ უნდა დავიცვათ, როგორც რევოლიუციის შემდგომი განვითარების ნამდვილი საძირკველი საერთაშორისო მასშტაბით. ჩვენი მუშაობის საერთო მიმართულება უკვე შემუშავებულია ჩვენი პარტიის მიერ. **წარმოებითი ძალების განვითარება სოფლათ არის ის საერთო ლოზუნგი**, რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს მთელი ჩვენი კავშირის—მუშების და გლეხების კავშირის სიძლიერის შემდგომ განმტკიცებას. **ყოველგვარი დაბრკოლებების გაუქმება წარმოებითი ძალების განვითარების გზაზე სოფლათ, სამხედრო კომუნიზმის დროინდელი ნაშთების მოსპობა სოფლათ** და, ბოლოს, იმ **ადმინისტრატიული პრაქტიკის გაუქმება, რომელიც ხელს უშლიდა სოფლის წარმოებითი ძალების განვითარებას, სოფლათ პატიოსანი საბჭოთა ადმინისტრატორების გაგზავნა—აი კონკრეტიული ამოცანები**, რომლებიც დასმულია ეხლა ჩვენს წინაშე და რომლებიც უნდა გადაწყვიტოს ჩვენმა კონფერენციამ.

კაპიტალიზმის სტაბილიზაცია

და, ბოლოს, რაც აღნიშნული უნდა იქნეს, როგორც ძირითადი მომენტი ჩვენი ამოცანებისა, ეს არის ის, რომ ჩვენ ვიკრიბებით კომინტერნის აღმასკომის გაფართოებული პლენუმის სხდომის შემდეგ, რომელმაც გამოააშკარავა საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის წინაშე აღმართული სიძნელენი. ეს სიძნელენი, რომლებიც დაკავშირებულია კომინტერნის აღმასკომის რეზოლიუციებში აღნიშნულ ნაწილობრივ სტაბილიზაციასთან, ახალ მოვალეობას გვაკისრებს ჩვენ.

ჰინდენბურგის არჩევის მნიშვნელობა

მართალია, ეს სტაბილიზაცია მეტად პირობითია. ევროპიდან მიღებული უკანასკნელი დეპეშები ჰინდენბურგის პრეზიდენტად არჩევის შესახებ მოწმობენ იმას, რომ ჩვენ, უეჭველად, სწორად ვიქცევით, როდესაც მეტად ფრთხილად უდგებით ამ სტაბილიზაციის საკითხებს. რადგან თუ ჰინდენბურგის არჩევა მომზადებულია მეორე ინტერნაციონალის მოღალატური პოლიტიკით და, სპეციალურად, გერმანიის სოციალ-დემოკრატიის მიერ, თუ ის ერთის მხრივ გვიჩვენებს შეძლებული კლასების რეაქციონური განწყობილების ზრდას და მზად ყოფნას, პირველ რიგში წამოყენებული იქნეს საკითხი მონარქიული რესტავრაციის შესახებ გერმანიაში (რადგან ჰინდენბურგის გამოჩენა გერმანიის რესპუბლიკის სათავეში ნიშნავს მხოლოდ მონარქიული რესტავრაციის პირველ სიმპტომს),—მეორეს მხრივ—ეს ფაქტი მოწმობს საერთაშორისო ძალთა განწყობილების გამწვავებას და ისეთი პირობების შექმნას, როდესაც შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ **სრული სტაბილიზაცია განუხორციელებელი რამ არის.**

მაგრამ აქაც კომინტერნს შეუძლია მოითხოვოს ჩვენგან ახალი მუშაობა. ჩვენ ვართ კომინტერნის ერთადერთი პარტია, რომელმაც განიცადა სამი რევოლიუცია, რომელმაც განიცადა არა მარტო რევოლიუციონური ტალღის აზვირთება 1900 წლიდან 1905 წლამდი, 1911—1914 წლამდი, თებერვლიდან ოქტომბრამდი, არამედ ჩვენ ვართ ისეთი პარტია, რომელმაც განიცადა რევოლიუციონური ტალღების უკუქცევის ეპოქა და რომელმაც შესძლო ბრძოლის წარმოება ამ უკუქცევის პერიოდში; მას წინდაწინ გათვალისწინებული ჰქონდა ის ჯგუფები, საშიშროება და დაბრკოლებები, რომლებიც თავს იჩენენ, როდესაც რევოლიუციონური ტალღა იწყებს ქვევით დაქანებას. ეს გამოცდილება—გამოცდილება ბრძოლისა ლიკვიდატორულ განწყობილებასთან—უეჭველათ გამოყენებული უნდა იქნეს კომინტერნის მიერ.

უნდა განვამტკიცოთ სოციალისტური საზოგადოება

მაგრამ ნაწილობრივი სტაბილიზაცია მდგომარეობს იმაშიც, რომ ყოველგვარი ღონისძიებით განვამტკიცოთ ჩვენი პროლეტარული სახელმწიფო და მეორეს მხრივ განვამტკიცოთ

„პოსლედნიე ნოვოსტი" უკმაყოფილოა

(თეთრგვარდიელთა პრესიდან)

ლაპარაკია ჯონ ტერნერზე, რომელიც საქართველოში ჩამოვიდა ინგლისის დელეგაციასთან ერთად. ჩვენ მშვენივრათ ვიცით, თუ რას ლაპარაკობდა ის აქ, არა ნაკლებ კარგათ ვიცით, როგორ გამოვიდა ის „იქ". მაგრამ შერცხვენილი თავისივე წერილობითი განცხადებით, რომელიც მან ჩვენს კავშირში დასწერა, ის ეხლა სცდილობს თავი იმართლოს, თითქოს ის „სწორათ ვერ გაიგეს".

მილიუკოვის გაზეთს არ მოსწონს ჯონ ტერნერის ასეთი განცხადება. ის თავს ესხმის ჯ. ტერნერს იმისათვის, რომ ის „ქედს იხრის ფაქტის წინაშე". სწორედ ამ სათაურით არის დაწერილი ბორ. მირსკის სპეციალური წერილი „პოსლედნიე ნოვოსტი"-ს 1925 წლ. 5 აპრილის № 1518.

რაში მდგომარეობს ეს „ქედის მოხრა ფაქტის წინაშე"? იმაში, რომ ჯონ ტერნერი თავის, ერთხმად მიღებულ რეზოლიუციაში, ამბობს, რომ

„შვიდ წელზე მეტი გავიდა რუსეთის დიდი რევოლიუციიდან, რომელიც მოახდინეს მუშებმა და გლეხებმა, და არა მცირე პოლიტიკურმა ჯგუფებმა"...

აი ამის მოთმენა არ შეუძლია კადეტურ „პოსლედნიე ნოვოსტი"-ს. ისინი ხომ მუდამ გაიძახიან, რომ ბოლშევიკები „ხახვატჩიკები" არიან ისინი უმცირესობაა, რომელიც ბატონობს ძალით და სხვა.

აღსანიშნავია, რომ მიტინგი, რომელზედაც მიღებული იქნა ასეთი რეზოლიუცია, მოწვეული იყო ლონდონში სპეციალურათ საბჭოთა ტერორის საკითხის შესახებ. და თქვენ წარმოიდგინეთ—მიტინგი მოწვეულია ნიშნათ პროტესტისა საბჭოთა ტერორის წინააღმდეგ, იქ გამოდის ყველა, ვისაც არ ეზარება პროტესტ[illegible] მოთქმა, მათ რიცხვში ჯონ ტერნერიც—და უეცრათ... როგორ სირცხვილში ჩავარდა. თუ იყო ტერორი, მას ახდენდენ არა „მცირე პოლიტიკური ჯგუფები", არამედ „რუსეთის მუშები და გლეხები". ლოღიკური არ არის ჯონ ტერნერის მხრიდან—იტყვით თქვენ, მაგრამ ვინ ელის მისგან ლოღიკას.

და ამ ულოღიკობას, რომელიც ამჟღავნებს თეთრგვარდიელი ემიგრაციის ბუნებას, ვერ ითმენს „პოსლედნიე ნოვოსტი", ისინი ამას აფასებენ, როგორც უპატივცემლობის ფაქტს.

„იქ, სადაც სჩანს ელემენტარული უცოდინარობა ანდა უხეში შეცდომა, იქ მნიშვნელობა აქვს მხოლოდ კეთილი ანდა ბოროტი ნებისყოფის, შეგნებული მოტყუების ანდა სამწუხარო გულუბრყვილობის რეგისტრაციას. მაგრამ იქ, სადაც ლაპარაკია საბჭოთა წესწყობილებაზე, როგორც რუსეთის ხალხის მიერ თავისუფლათ არჩეულ ისტორიულ გზაზე—იქ თვით მეთოდი შეფასებისა დაკავშირებულია უპატივცემლობასთან რუსეთის ხალხის მიმართ".

და ასეთ უპატივცემლობაში დამნაშავე აღმოჩნდა ჯონ ტერნერიც. მან ხომ აღიარა თავის რეზოლიუციაში, რომ რევოლიუცია მოახდინეს და საბჭოთა ხელისუფლება შექმნეს „არა მცირე პოლიტიკურმა ჯგუფებმა", არამედ „მუშებმა და გლეხებმა".

ჩვენ სავსებით გვესმის „პოსლედნიე ნოვოსტი"-ს უკმაყოფილება, მაგრამ ფაქტი ფაქტათ რჩება და ფაქტის წინაშე იძულებული არიან „ქედი მოიხარონ" არა მარტო ტერნერის ტიპის ყოველგვარი შემთანხმებლები, არამედ თვით ბურჟუაზიაც.

ლ. ა.

ასე, რომ ევროპის და ამერიკის პროლეტარიატმა თვალნათლივ დაინახოს ჩვენი მეურნეობის სოციალისტური ელემენტების ზრდა, რადგან **სოციალისტური საზოგადოების ზრდა ჩვენს კავშირში არის პირველი გარანტია და პირველი დახმარება პროლეტარიატის საერთო რევოლიუციონურ მოძრაობისა მთელს მსოფლიოში.**

ამ სოციალისტური საზოგადოების აშენება ჩვენი კავშირის ფარგლებში ჩვენ უკვე დავიწყეთ, ვაშენებთ მას და ეჭვს გარეშეა, რომ ავაშენებთ. ამ ამოცანის შესასრულებლათ საჭიროა გვახსოვდეს ვლადიმერ ილიჩის ანდერძი. ჩვენს ქვეყანაში სოციალისტური საზოგადოების საბოლოოთ აშენების მიზნით საჭიროა სწორი პოლიტიკა ვაწარმოოთ. ილიჩი ამბობდა: 10—20 წლის განმავლობაში **სწორი პოლიტიკის გატარება გლეხობის მიმართ—და გამარჯვება საერთაშორისო მასშტაბით უზრუნველყოფილია.** ამ სწორი პოლიტიკის გამომუშავება ეხლანდელ მძიმე პირობებში და გარდატეხის მომენტში, რომელსაც ადგილი აქვს როგორც ჩვენს ქვეყანაში, ისე საერთაშორისო ძალთა განწყობილებაში—შეადგენს სწორეთ ჩვენი კონფერენციის ამოცანას.

ლენინიზმის დროშის ქვეშ გავიმარჯვებთ.

პარტია დარწმუნებულია, რომ ეს სწორი პოლიტიკა თქვენ მიერ გამომუშავებული იქნება **ლენინიზმის მიხედვით ლენინიზმის დროშის ქვეშ, იმ დებულებათა მტკიცე ნიადაგზე, რომლებიც გვიანდერძა ჩვენ მასწავლებელმა და ბელადმა ლენინმა**“. (ტაში).

პარტიულ-საორგანიზაციო საკითხები

ამხ. მოლოტოვის მოხსენება

პირი ვიბრუნოთ სოფლისაკენ

„პარტიულ-საორგანიზაციო საკითხები ჩვენ უნდა განვიხილოთ, როგორც ჩვენი საერთო ზრდის თვალსაზრისით, ისე თვით პარტიისადმი უფრო გადიდებული მოთხოვნილებების წარდგენის თვალსაზრისით. ჩვენი მრეწველობისა და, კერძოთ, შრომის ნაყოფიერების გადიდებისაკენ მიმართული მთელი მუშაობა სწარმოებდა პარტიის **უშუალო ხელმძღვანელობით**. მაგრამ მრეწველობის მდგომარეობის გაუმჯობესება მჭიდროთ **დაკავშირებულია სოფლის მეურნეობის განვითარებასთან. მთელი პარტიის ყურადღება ამჟამათ მიპყრობილია სოფლის მეურნეობის განვითარებისა და გლეხთა მასის მდგომარეობის გაუმჯობესების საკითხებისაკენ.** უკვე მიმდინარე წლიდან დაკლებულია ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ნორმები, მტკიცდება კოოპერაცია, და სოფლის მეურნეობა, უმჯობესდება გლეხობის მდგომარეობა. მაგრამ გლეხთა საკითხის მიმართ საერთოდ პარტია თითქოს გარდატეხას განიცდის.

პარტიის ამოცანები სოფლად.

პარტიამ შეიმუშავა შემდეგი ძირითადი ხაზი მომავალი დროისათვის: 1) **ხელის შეწყობა საქონლის ბრუნვისათვის, როგორც თვით სოფელში, ისე ქალაქის და სოფლის ურთიერთობაში: 2) ხელის შეწყობა საბჭოების გამოცოცხლებისათვის, განსაკუთრებით სოფლად; გლეხობის ფართო მასების ჩაბმა საბჭოების, კოოპერაციის და სხვა ორგანიზაციების მუშაობაში: პარტიის მიერ გლეხთა მასებისათვის ხელმძღვანელობის გაწევის გაძლიერება.**

პარტია და საბჭოთა ხელისუფლება **ეხლა იმდენად მტკიცეა**, რომ მათ შეუძლიათ ამ ამოცანების წამოყენება. 3—4 წლის წინეთ პარტიას ამაზე ფიქრიც კი არ შეეძლო. შარშან პარტიის მთელი ყურადღება მიპყრობილი იყო პარტიაში ახალი წევრების მიღებისაკენ. 1925 წელში პარტიის მთელი ყურადღება მიპყრობილია საბჭოების გამოცოცხლებისაკენ, განსაკუთრებით სოფლად. საბჭოების გამოცოცხლება ფაქტიურად პარტიაში ახალი წევრების მიღების გაგრძელებაა. პარტიაში ახალი წევრების მიღების შემდეგ პარტიაში ჩვენ გვყავს 300.000 მეტი სამრეწველო მუშა. პარტიის პროლეტარული ძალებით განმტკიცების შემდეგ ჩვენ შეგვიძლია მთელი ჩვენი ყურადღება მივაპყროთ პარტიის მუშაობას სოფლად.

ჩვენი ხაზი სწორია.

საბჭოების გადარჩევის გამოცდილებამ დაამტკიცა, რომ ჩვენი მიერ აღებული ხაზი **სწორია** და რომ უპარტიო გლეხთა ფართო მასების ჩაბმა საბჭოთა აღმშენებლობაში, კოოპერაციაში და სხვა ორგანიზაციებში განამტკიცებს საბჭოთა ხელისუფლებას და ამით პროლეტარიატის დიქტატურას. ლენინი ჯერ კიდევ 1921 წელში აღნიშნავდა საბჭოთა მუშაობაში უპარტიო მასების ჩაბმის აუცილებლობას. **უპარტიოთა წამოყენება საბჭოთა სამუშაოზე—მნიშვნელოვანი ამოცანაა, რომელიც სდგას ჩვენს წინაშე.**

საჭიროა პარტმუშაობის მეთოდების გაუმჯობესება.

საბჭოების გამოცოცხლება და უპარტიო მასების ჩაბმა საბჭოთა, კოოპერატიულ, პროფესიონალურ და სხვაგვარ მუშაობაში მოითხოვს თვით პარტიის მუშაობის გაუმჯობესებას. შემცდარი იქნებოდა გვეფიქრა, რომ სანამ უპარტიო მასებს ჩავაბამთ მუშაობაში, საჭიროა პარტიული მუშაობის გაუმჯობესება სოფლათ. ცხოვრება მოითხოვს, რომ პარტიული მუშაობის გაუმჯობესებასთან ერთად ჩვენ შევუდგეთ საბჭოების გამოცოცხლებას. ჩვენს წინაშე დასმულ ამოცანებთან დაკავშირებით, პარტიამ უნდა გააუმჯობესოს თავისი მუშაობის მეთოდები და პირველ რიგში—**პარტიული ხელმძღვანელობის მეთოდები, განსაკუთრებით—ხელმძღვანელობის გაწევა ქვედა საფეხურის პარტიული ორგანიზაციებისათვის.** საჭიროა პარტიულ მუშაკთა კადრის გაძლიერება. ხელ ახალი აღზრდა უნდა იყოს არა მარტო პოლიტიკური, არამედ ის **დაკავშირებული უნდა იქნეს განსაზღვრულ სპეციალიზაციასთან**,—რომელიც აუცილებელია მუშაობის ეხლანდელ პირობებში.

საჭიროა აგრეთვე პარტიის შემადგენლობის გაუმჯობესება. პარტიის ყველა წევრებმა უნდა შეიგნონ ის ამოცანები, რომლებიც დასმულია პარტიის წინაშე.

ყურადღება კომკავშირს

პარტიამ მთავარი ყურადღება უნდა **მიაქციოს** სოფლათ მუშაობას, მაგრამ ამავე დროის არ უნდა შეასუსტოს მუშაობა მუშათა უბნებში. მუშაობა, რომელსაც აწარმოებდა პარტია ყველა სფეროებში, გაფართოებული უნდა იქნეს შემდეგში.

განსაკუთრებით დიდი ყურადღება უნდა მიექცეს მუშაობას კომკავშირს შორის. ამ ჟამათ კომკავშირში ითვლება **1.300.000 წევრი**, რასაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლევა სოფლათ მუშაობასთან დაკავშირებით. საჭიროა გაძლიერებული იქნეს კომკავშირელების **პოლიტიკური აღზრდის** საქმე, **გაძლიერებული უნდა იქნეს მათ შორის დისციპლინა.** მეტად არანორმალურია ის მოვლენა, რომ კომკავშირის პრესა აქამდი სუსტათ არის განვითარებული; საჭიროა მისი გაძლიერება.

პარტიაში მიღება

გადავიდა რა პარტიაში ახალი წევრების მიღების საკითხზე, მოლოტოვმა აღნიშნა, რომ საჭიროა მივაღწიოთ იმას, რომ მუშები, რომლებიც წარმოებებში მუშაობენ, შეადგენდენ პარტიის ყველა წევრების **ნახევარს.** პროლეტარული ელემენტების სიმრავლე უზრუნველყოფს სწორ პარტიულ ხაზს.

შემდეგ საჭიროა პარტიაში ჩაბმული იქნენ სოფლის საუკეთესო ელემენტები—**ღარიბები, მოჯამაგირეები და საშუალო გლეხების რევოლიუციონური ნაწილი.**

რაც შეეხება მოსამსახურეებს და მოწაფეებს, ჩვენ მცირე რაოდენობით უნდა მივიღოთ ისინი პარტიაში; მათ უნდა წარედგინოს უფრო გადიდებული მოთხოვნილებები. საჭიროა, რათა მოსამსახურეებმა და მოწაფეებმა—პარტიის წევრებმა განამტკიცონ კავშირი უპარტიო მასებთან.

დაამთავრა რა თავისი მოხსენება, მოლოტოვმა იმედი გამოსთქვა, რომ ლენინის მოძღვრებით გაერთიანებული პარტია სავსებით გაართმევს თავს ამ ამოცანებს.

კამათი ამხ. მოლოტოვის მოხსენების გამო

27 აპრილის დილის სხდომაზე ამხ. მოლოტოვის მოხსენების გარშემო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს პოზერნმა, გალიევმა, სირცოვმა, კაგანოვმა და კაგანოვიჩმა.

სირცოვი

აღნიშნავს, რომ მთავარი საკითხი ეხლა იმაში კი არ მდგომარეობს, რომ ვაგინოთ სოფლის მუშაკები თავაშვებულობისათვის, არამედ იმაში, რომ ვასწავლოთ მათ, თუ როგორ დააღწიონ თავი ამ მოვლენას. საჭიროა სწორი, მოხერხებული პოლიტიკური და ორგანიზაციული ხელმძღვანელობა. დიდი მნიშვნელობა აქვს პოლიტიკურ-აღმზრდელობით და პოლიტიკურ-განმანათლებელ მუშაობას. საჭიროა უზრუნველყოფილი იქნეს მისი წარმატებით გატარება; ამ სამუშაოზე უნდა გაიგზავნონ ავტორიტეტული და შესაფერი მუშაკები და ამასთანავე ამ საქმისათვის გადადებული უნდა იქნეს შესაფერი თანხები.

კაგანოვიჩი

თავის სიტყვაში ამბობს, რომ პოლიტიკური აქტიური გაძლიერებამ ჩვენ ბევრი რამ დადებითი მოგვიტანა, მაგრამ ამასთანავე მან გაართულა მუშაობა, რადგან პოლიტიკური აქტიურობის გაძლიერებას ჩვენ ვხედავთ როგორც პროლეტარიატში, ისე წვრილ-ბურჟუაზიულ ფენებში. აქედან გამომდინარეობს რამოდენიმე საშიშროება.

პირველი საშიშროება იმაშია, რომ წვრილ-ბურჟუაზიული ფენები, რომლებსაც უნდათ თავისი პოლიტიკური აქტიურობის გამომჟღავნება, ეძებენ ორგანიზატორს. და თუ პარტია არ შეაკავშირებს მათ, მაშინ ისინი ორგანიზატორის ძებნას პარტიის გარეთ დაიწყებენ.

მეორე საშიშროება—წვრილ-ბურჟუაზიული მასების ზეგავლენა პარტიაზე შიგნიდან.

პირველი ამოცანის შესახებ პარტიამ წამოაყენა ლოზუნგი „პირი ვიბრუნოთ სოფლისაკენ“ და მიიღო მთელი რიგი ღონისძიებები. ერთგვარი გარდატეხა მიღწეულია, მაგრამ ის არ არის საკმარისი, რადგან საჭიროა, რომ უფრო მჭიდროთ დაუკავშირდენ პოლიტიკური მუშაობის პროცესები და ხელმძღვანელობის განხორციელება.

მხოლოდ ასეთ პირობებში შეიძლება საბჭოების და აღმასკომების ნამდვილი გამოცოცხლება. არ უნდა დავივიწყოთ, რომ საბჭო არის ხელისუფლების ორგანო, რომელსაც ის თავისებურობა აქვს, რომ ის არის ხელისუფლების ორგანო და ამავე დროს არის მასების თვითმოქმედების საზოგადოებრივი ორგანიზაცია.

კაგანოვიჩი შემდეგ შეჩერდა საკითხზე პარტიის იდეური ბოლშევიკური აღზრდის შესახებ ახალი ეკონომიური პოლიტიკის და კაპიტალიზმის სტაბილიზაციის პირობებში. ჩვენი პარტიის იდეურ-ბოლშევიკური აღზრდის გაძლიერებით, პარტიის შემადგენლობისა და მუშაობის გაუმჯობესებით და ქვედა საფეხურის პარტიული ორგანიზაციებისათვის უკეთესი ხელმძღვანელობის გაწევით ჩვენ მივაღწევთ ნამდვილ გარდატეხას გლეხობისადმი მიდგომის საკითხში.

27 აპრილის საღამოს სხდომა.

საღამოს მოლოტოვის მოხსენების გარშემო გამართულ კამათში გამოვიდა

სემაშკო

რომელმაც აღნიშნა, რომ საჭიროა გაღრმავებული იქნეს ორი აზრი მოლოტოვის მოხსენებაში. პირველი: საჭიროა არა მარტო კრიტიკულათ მიუდგეთ ქვედა საფეხურის მუშაკების მოღვაწეობას, არამედ საჭიროა აგრეთვე მიღებული იქნეს ზომები მათთვის პრაქტიკული დახმარების გასაწევათ. მეორე: ჩვენს პარტიულ მუშაკებს ეხლა უყენებენ გადიდებულ მოთხოვნილებებს და მათი მუშაობა საგრძნობლათ გართულდა. აუცილებელია მოგვარებული იქნეს პარტიული ამხანაგების მუშაობის პირობები; ამასთანავე უნდა ვიზრუნოთ ჩვენი ძველი გვარდიის ძალების შენარჩუნებაზე. საჭიროა უფრო ფრთხილათ მოვეპყრათ კომკავშირს და პიონერთა ორგანიზაციებს.

იაროსლავსკი

აღნიშნავს, რომ წინეთ ჩვენ ყველაზე უფრო მნიშვნელოვნათ მიგვაჩნდა სოფლის უჯრედების მხოლოდ პროლეტარული შემადგენლობას. ეხლა კი ამ მხრივ ჩვენში ერთგვარი გადახრა მოხდა: ჩვენ პარტიაში მოუხმობთ გლეხებს, რომლებსაც კავშირი არ გაუწყვეტიათ მეურნეობასთან. მაგრამ აქამდი არიან უჯრედები, რომლებსაც არ ესმით ეს, და ხშირად გამოაქვთ დადგენილებები, რომლებშიაც ნათქვამია, რომ ამა თუ იმ ამხანაგებმა, რომელთაც მეურნეობა აქვთ, უნდა მიატოვონ ისინი. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ არ შეიძლება კომუნისტს საყვედური ვუთხრათ იმისათვის, რომ მას კარგი მეურნეობა აქვს, თუ ის არ სარგებლობს დაქირავებული შრომით. ამასთანავე არ შეიძლება საყვედური ვუთხრათ კომუნისტს, თუ მან სამოქალაქო ომის წლებში უყურადღებოთ მიატოვა მეურნეობა. საშუალო ფენებთან ერთად საბჭოთა მუშაობაში ჩაბმული უნდა იქნენ ისინიც, ვისაც გარემოებები ხელს არ უწყობდა სამაგალითო მეურნეობა შეექმნა, მაგრამ ვინც პატიოსანი რევოლიუციონერია.

ამხ. მოლოტოვის საბოლოო სიტყვა

თავის საბოლოო სიტყვაში მოლოტოვი აღნიშნავს, რომ მის მიერ წარმოდგენილ თეზისებში შეტანილი უნდა იქნეს მუხლი ქალთა შორის მუშაობის შესახებ, რასაც ამჟამად უდიდესი მნიშვნელობა აქვს, და აგრეთვე კომუნისტ-მიწის მუშების შესახებ. მოხსენების ძირითადი აზრი—ამბობს მოლოტოვი—მდგომარეობს იმაში, რომ ეხლანდელ პირობებში პარტიას ადვილათ და კარგათ შეუძლია მოაწყოს საბჭოთა სოფელი.

ეს ამოცანა შეიძლება განხორციელებული იქნეს მხოლოდ საბჭოების გამოცოცხლების ლოზუნგთან დაკავშირებით. ამ გზით უნდა იაროს პარტიამ სოფლათ მუშაობის დროს. ამ ამოცანის შესრულება შეიძლება მხოლოდ მაშინ, თუ საბჭოთა მუშაობაში ჩავაბამთ უპარტიოთა ფართო მასებს.

საჭიროა განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს სოფლის უჯრედების შემადგენლობის გაუმჯობესებას და მუშაკების კულტურული დონის ამაღლებას. ის აზრი, თითქოს სოფლათ მუშაობისათვის დახმარების გაწევა შეიძლება ამხანაგების გაგზავნით, შემცდარია. ასეთი ამხანაგების გაგზავნა შეიძლება მხოლოდ როგორც დახმარება მუშაკების ძირითად კადრის, რომელიც თვით სოფელში უნდა იქნეს შერჩეული.

კომისიის არჩევა.

მოლოტოვის საბოლოო სიტყვის შემდეგ არჩეული იქნა კომისია, რომელმაც უნდა შეიმუშავოს რეზოლიუცია პარტიულ-ორგანიზაციული საკითხების შესახებ.

ინგლისელ მუშების ბრძოლა

ერთიანი ფრონტით კაპიტალის შემოტევის წინააღმდეგ

ლონდონი. 27 აპრ. რკინისგზელთა ნაციონალური კავშირის სამხრეთ-უელსის საოლქო ორგანიზაციის აღმასრულებელმა კომიტეტმა პროტესტი განაცხადა დასავლეთის დიდ გზაზე მოსამსახურეების დათხოვნის წინააღმდეგ და მოითხოვა, რომ კავშირის ნაციონალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა ორი კვირის განმავლობაში მოიწვიოს თათბირი, რომელიც **განიხილავს შექმნილ მდგომარეობას და საკითხს საერთო-ნაციონალური მასშტაბით გამოსვლის შესახებ.**

რეზოლიუცია, რომელიც მიიღო აღმასრულებელმა კომიტეტმა, მოითხოვს აგრეთვე, რომ რკინისგზელთა ნაციონალური პროფკავშირის ხელმძღვანელმა ცენტრმა დაიწყოს მოლაპარაკება სამთო-მადნო მუშების, მემანქანეების და ტრანსპორტის მუშათა პროფკავშირებთან. **ამ მოლაპარაკების საშუალებით უნდა მიღწეული იქნეს შეთანხმება კაპიტალის შემოტევის წინააღმდეგ ერთიანი ფრონტით ბრძოლის შესახებ.**

აღმასკომის რეზოლიუცია ერთხმად მოიწონა სამხრეთ-უელსის რკინისგზელების მასიურმა მიტინგმა, რომელიც დიდი აღფრთოვანებით იქნა ჩატარებული.

მენშევიზმის გახრწნა

სოციალ-დემოკრატმა მინისტრმა სამსახურიდან დაითხოვა თავისი პარტიული ამხანაგი ჰინდენბურგის „შეურაცხყოფისათვის“

ბერლინი, 27 აპრილი. საქსონიის მინისტრ-პრეზიდენტი, სოციალ-დემოკრატი გელდტი და აგრეთვე საქსონიის ლანდტაგის სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის მემარჯვენე ფრთის ორი დეპუტატი გამორიცხული არიან პარტიიდან იმ ორგანიზაციის მიერ, რომელსაც ისინი ეკუთვნოდენ. ამ გადაწყვეტილებას ასაბუთებენ იმით, რომ გამორიცხულები მოქმედობდენ პარტიის ინტერესების საზარალოთ.

გელდტის გამორიცხვა დაკავშირებულია მის მოქმედებასთან პოლიციის უფროსის, სოციალ-დემოკრატ შიუცინგერის მიმართ, რომელმაც პრესაში ჰინდენბურგის კანდიდატურის წინააღმდეგ გამოსვლის **დროს ჰინდენბურგის „დამსახურებას“ ტანენბერგის ბრძოლაში „საპატიო ნული“ უწოდა. ამისათვის შიუცინგერი დათხოვნილი იქნა სამსახურიდან მიზეზების განუმარტებლათ. გელდტმა იმ მიზნით, რომ შეემსუბუქებია ის შთაბეჭდილება, რომელიც მოახდინა შიუცინგერის გამოსვლამ, „ფორვერტს“-ში დაბეჭდა წერილი, რომელშიაც აქებდა ჰინდენბურგს, როგორც „ადამიანს და სარდალს“.**

პარტიულ წრეებში ფიქრობენ, რომ ცენტრალური კომიტეტი არ დაამტკიცებს გელდტის და სხვების გამორიცხვას, რადგან მათი ხაზი სავსებით ეთანხმება პარტიის ბელადების ხაზს.

იმპერიალისტების ინტრიგები ოსმალეთში

ვინ მოაწყო ქურთების აჯანყება

ანგორა, 27 აპრილი. ოფიციოზური გაზეთი „ხაკიმიეტ მილიე“ სწერს, რომ იმის შემდეგ, რაც გაემგზავრა ერთა ლიგის კომისია, რომელიც პლებისციტს ახდენდა მოსულის ვილაიეთში, **ინგლისელი მოხელეები შეუდგენ ვილაიეთის იმ მცხოვრებლების წარმომადგენელთა დაპატიმრებას და შეუბრალებლად დასჯას ყოვლად უმიზეზოდ, რომლებიც ემხრობოდენ ოსმალეთთან** შეერთებას.

ამას გარდა ინგლისელები კვლავ შეუდგენ ოსმალეთის საზღვარზე აისორების (ნესტორიანელების) რაზმების მოგროვებას და **მათ ფარულად შეიარაღებას. ამასვე ჩადიან ინგლისელები სპარსეთის საზღვარზედაც.**

ამის გამო, გაზეთი **„სოონ საატ“**, რომელიც გამოდის მმართველ სახალხო პარტიის გამოჩენილი წევრის ხელმძღვანელობით, სწერს, რომ მას შემდეგ, რაც **ქურთების აჯანყებამ ვერ მოიტანა სასურველი შედეგები, ინგლისელები შეუდგენ ფარული პროპაგანდის წარმოებას ნესტორიანებს შორის.** გაზეთი იტყობინება, რომ ხოის და დილმანის რაიონში (სპარსეთის ქალაქებია ურმიის ტბიდან ჩრდილოეთ დასავლეთით) **თავმოყრილია ბანდები.** ოსმალეთის მთავრობა ფხიზლად ადევნებს თვალყურს ამ რაზმების მოძრაობას.

ანგორის მთავრობის წრეებში ფიქრობენ, რომ სპარსეთის მთავრობა არ მოითმენს ბანდების თავის მოყრას დილმანის და ხოის რაიონში, რადგან ეს ეწინააღმდეგება ორივე სახელმწიფოს კეთილმეზობლურ ურთიერთობას.

ქურთების აჯანყების ლიკვიდაცია

ანგორა, 27 აპრილი. ხდება ქურთების აჯანყების სრული ლიკვიდაცია. **აჯანყებულების დარჩენილი რაზმები ჯგუფ-ჯგუფად აბარებენ იარაღს ხელისუფლებას.** შერეფედინის მთა, რომელიც უკანასკნელი დასაყრდენი იყო აჯანყებისათვის, **გაწმენდილია ქურთების რაზმებისაგან.**

საფრანგეთ-ოსმალეთის მოლაპარაკება

ანგორა, 27 აპრილი. ანგორის პოლიტიკურ წრეებში ამტკიცებენ, რომ პროგრამა საფრანგეთ-ოსმალეთის მოლაპარაკებისა, რომელიც დაიწყება ანგორაში გენერალ სერაილის (საფრანგეთის კომისარი სირიაში) ჩასვლის შემდეგ, შემდგარი იქნება შემდეგი მუხლებისაგან: 1) **ოსმალეთის სესხის კუპონების განაღდება** 2) საბაჟოს შესახებ, 3) **ოსმალეთ-სირიის საზღვრების შესწორება, 4) ანტიოქიისა და ალექსანდრეტისათვის (სანავთსადგურო ქალაქებია) სრული ავტონომიის მიცემის საკითხი, და 5) ალეპოს მსაზრდოებელ წყლების გარშემო შექმნილ კონფლიქტის გადაჭრა.**

ჰინდენბურგის არჩევის შემდეგ

გერმანიაში შიშობენ, რომ ჰინდენბურგის არჩევის გამო უცხოეთში სესხს არ მოგვცემენ

იტალიის, ამერიკისა და საფრანგეთის პრესა უკმაყოფილოა არჩევნების შედეგებით

ჰინდენბურგის ბიოგრაფია

მოსკოვი, 28 აპრილი. გერმანიის ახალი პრეზიდენტი გენერალ-ფელდმარშალი ფონ-ჰინდენბურგი დაიბადა 1847 წელს პოზნანში.

სამხედრო განათლება მან მიიღო კადეტთა კორპუსში და სამხედრო აკადემიაში. თავისი სამხედრო კარიერა ჰინდენბურგმა დაიწყო 1865 წელს საიმპერატორო გვარდიის ლეიტენანტის თანამდებობით.

1914 წელში ჰინდენბურგმა მიიღო გენერალ-ფელდმარშალის ხარისხი და დაინიშნა აღმოსავლეთის არმიის მთავარ სარდლათ. მისმა მოხერხებულმა სამხედრო ოპერაციებმა რუსეთის და შემდეგ დასავლეთის ფრონტზე დიდი სახელი მოუხვეჭეს მას როგორც თვით გერმანიაში, ისე საზღვარგარეთაც. 1916 წელს ჰინდენბურგი ინიშნება გერმანიის მთელი არმიის მთავარ სარდლათ და მთავარი შტაბის უფროსად.

1917 წელში, რუსეთის არმიის დამარცხების შემდეგ, ჰინდენბურგმა მთელი თავისი ყურადღება მიაპყრო დასავლეთის ფრონტს. მაგრამ უკვე 1918 წელს, ამ ფრონტზე დამარცხების შემდეგ, ჰინდენბურგი იძულებულია ხელმძღვანელობა გაუწიოს გერმანიის არმიის უკან დახევას, შემდეგ კი მის დემობილიზაციას.

ამავე წლის ბოლოს, ნოემბრის რევოლიუციის შემდეგ ჰინდენბურგი გადადგა. **მაგრამ უკვე შემდეგ წელში ჰინდენბურგის გარშემო თავს იყრიან გერმანიის ყველა რეაქციონური ძალები.**

ჰინდენბურგი—გერმანიის ყოფილი იმპერატორის—ვილჰელმის პირადი მეგობარია და მთელი მისი ძალღონე მიმართულია იქითკენ, რომ დაუბრუნოს ტახტი ჰოგენცოლლერნებს. ჰინდენბურგის გერმანიის პრეზიდენტად არჩევა ნიშნავს გერმანიის მსხვილი ბურჟუაზიის გადახრას მონარქიისა და სამხედრო დიქტატურისაკენ.

ვისი წყალობით გაიმარჯვა ჰინდენბურგმა

საუბარი ამხ. რუტ ფიშერთან

ბერლინი. 27 აპრ. როსტას კორესპონდენტთან საუბრის დროს, ამხ. რუტ ფიშერმა განაცხადა, რომ ჰინდენბურგის გამარჯვება მოწმობს ბურჟუაზიის სრულ აღდგენას. მძიმე მრეწველობამ და მონარქისტებმა მიაღწიეს მათთვის მოულოდნელ გამარჯვებას.

ჰინდენბურგს, ეჭვს გარეშეა, ხმა მისცა მრავალმა მუშამ. **სოციალ-დემოკრატების ტაქტიკამ ხელი შეუწყო ჰინდენბურგის გამარჯვებას.** სოციალ-დემოკრატების მტკიცება, რომ კომპარტია არის დამნაშავე ჰინდენბურგის გამარჯვებაში, არ არის მართალი. **ჰინდენბურგის გამარჯვება აიხსნება კონტრ-რევოლიუციის ობიექტიური გაძლიერებით, რასაც დიდათ შეუწყო ეს ხელი თვით სოციალ-დემოკრატებმა, ვინაიდან ნოსკეს გარეშე არ იქნებოდა ებერტი, უებერტოთ კი არ იქნებოდა ჰინდენბურგი.**

რუტ ფიშერის აზრით, საგარეო პოლიტიკაში, ჰინდენბურგის არჩევა ნიშნავს წინააღმდეგობათა გამწვავებას იმპერიალისტური ტენდენციების გაძლიერებასთან დაკავშირებით და საბჭოთა კავშირის მიმართ აგრესიული პოლიტიკის ახალი პერიოდის დასაწყისის შესაძლებლობას.

არჩევნები და სესხის საკითხი

ბერლინი. 28 აპრილი. ყველა პარტიების აგიტაციის ცენტრალურ მუხლს წარმოადგენდა საკითხი იმის შესახებ, **თუ როგორ გავლენას იქონიებდა პრეზიდენტის არჩევნების შედეგები უცხოეთიდან კრედიტების მიღების შესაძლებლობაზე.**

სახალხო ბლოკის პარტიები (სოციალ-დემოკრატები, დემოკრატები და ცენტრი) **ამ საკითხს უფრო მეტ მნიშვნელობას აძლევდენ, ვიდრე მონარქიული საფრთხის საკითხს.** სახალხო ბლოკის პრესა ამტკიცებდა, **რომ ჰინდერბურგის კანდიდატურის წამოყენებამ უკვე გამოიწვია უცხოეთიდან კრედიტების მიღების სავსებით შეწყვეტა.** პრესას ამის დასამტკიცებლად მოჰყავდა მთელი რიგი ცნობებისა.

ამის გამო ჰანოვერში ჰინდერბურგის მიერ პრესის წარმომადგენლებთან წარმოთქმული სიტყვა მიზნად ისახავდა უცხოეთის იმ ფინანსიური წრეების დამშვიდებას, რომლებიც შეაშფოთა მისმა კანდიდატურამ. მემარჯვენე ბლოკის პრესა ყოველმხრივ ცდილობდა სახალხო ბლოკის გაზეთების იერიშების მოგერიებას და ამტკიცებდა, რომ ჰინდენბურგის კანდიდატურა არ იქონიებდა გავლენას გერმანიის მიერ უცხოეთიდან კრედიტების მიღებაზე. ეს განცხადებები ოფიციალურად დაადასტურა სახალხო მეურნეობის მინისტრმა ნაციონალისტმა ნეიგაუზმა.

ნოსკე-ჰინდენბურგის კავშირი

ბერლინი, 27 აპრილი. ჰანოვერის პროვინციის ობერ-პრეზიდენტი სოციალ-დემოკრატი ნოსკე, როგორც ჰანოვერის ხელოსანთა პალატის წევრი, მონაწილეობას ღებულობდა ჰინდენბურგის არჩევაში პალატის საპატიო თავმჯდომარედ. რადგან გადაწყვეტილება ჰინდენბურგის არჩევის შესახებ ერთხმად იყო მიღებული, **ნოსკემაც ხმა მისცა მას.**

როგორც ადგილობრივი გაზეთები იტყობინებიან, **ნოსკესთან შეხვედრის დროს ჰინდენბურგმა მას „მეგობრულად ხელი ჩამოართვა“.**

თავს იწუგეშებენ

ბერლინი, 27 აპრილი. გერმანიის პოლიტიკურ წრეებში დიდის შიშით მოელიან ცნობებს, თუ როგორი შთაბეჭდილება მოახდინა საზღვარგარეთ ჰინდენბურგის არჩევამ.

მთავრობის გავლენიან წრეებში როსტას კორესპონდენტს გარკვევით განუცხადეს, კონსტიტუციის თანახმად პოლიტიკას უძღვებიან რეიხსკანცლერი და რეიხსტაგი და არა პრეზიდენტი. გარდა ამისა, აღნიშნავდენ, რომ ჰინდენბურგმა კატეგორიულად უარყო თავისი კავშირი რომელიმე პარტიასთან და განაცხადა, რომ ის არ არის მემარჯვენე ბლოკის მოღვაწე.

ამერიკაში უკმაყოფილო არიან

ნიუ-იორკი, 2. აპრილი. თუმცა ჯერ სავსებით არ არის გამორკვეული, თუ რა შთაბეჭდილება მოახდინა ჰინდენბურგის არჩევამ ამერიკის საზოგადოებრივ წრეებზე, მაგრამ პრესის პირველი განმარტებანი და ზოგიერთი პოლიტიკურ მოღვაწეთა აზრი აშკარად მოწმობენ ამერიკის იმედ-გაცრუებასა და პესიმიზმზე.

პოლიტიკურ და ფინანსიურ წრეებში შიშს გამოსთქვამენ, რომ ჰინდენბურგის არჩევა ცუდ გავლენას იქონიებს უკვე მოგვარებულ სარეპარაციო საკითხებზე და გერმანიის შემდეგი სესხების გამოშვებაც ძალიან გაძნელდება.

„ნიუ-იორკ-ტაიმსი“ თავის მეთაურ წერილში უსაფუძვლოთა სცნობს გაზვიადებულ შიშს, მაგრამ მაინც სწერს, რომ ამერიკა ფრთხილათ მოიქცევა და ხელს მოუჭერს თავის ჯიბეს გერმანიისთვის შემდეგი სესხების გაცემაზე.

ბულგარეთის სააგენტოს ცნობა

ვენა, 27 აპრილი. ბულგარეთის სააგენტო იუწყება, თითქოს გლეხთა პარტიის განთავისუფლებული ბელადები ტომოვი, ომარჩევსკი, მარკოვი და დიმიტრიევი მისულიყვენ მინისტრთა თავმჯდომარე ცანკოვთან და განეცხადებიოთ, რომ გლეხთა პარტია ჰკიცხავს თავდასხმას და ერთიან მუშურ-გლეხურ ფრონტის შექმნის მომხრეთა მოქმედებას.

ამხ. კერჟენცევი მუსოლინთან

რომი, 27 აპრილი. საბჭოთა კავშირის ახალი სრულუფლებიანი წარმომადგენელი იტალიაში კერჟენცევი 27 აპრილს მიიღო მუსოლინიმ.

წითელ რესპუბლიკებში

რუსეთი

რკინისგზათა სამმართველოების ბიუროს პლენუმი

მოსკოვი. 27 აპრილი. გაიხსნა რკინისგზათა სამმართველოების ბიუროს მე-6 პლენუმი.

პლენუმზე გამოცხადდენ საბჭოთა კავშირის 25 რკინისგზის წარმომადგენლები.

ქარიშხალი

სვერდლოვსკი. 27 აპრილი. 22 აპრილს სადგურ ვერეშჩაგინსზე (პერმის რკინისგზა) გადაიარა ძლიერმა ქარიშხალმა. ქარმა დაანგრია სადგურის ბაქანი, რომელიც დაეცა საბარგო მატარებელს. დაზიანდა 3 ვაგონი.

მცირე სახ. კომისართა საბჭოს დადგენილება.

მოსკოვი, 27 აპრ. მცირესახ. კომისართა საბჭომ დაადგინა, რომ სრულიად რუსეთის ცაკის, სახ. კომისართა საბჭოს, ეკონომიურ საბჭოს და საბჭოთა რუსეთის სხვა და სხვა სახ. კომისარიატების ყველა დეკრეტები და დადგენილებანი, რომელიც გამოქვეყნებულია სრულიად რუსეთის ცაკის „იზვესტიაში“, „ეკონომიჩესკაია ჟიზნში“ და აგრეთვე „კანონთა და საბჭოთა რუსეთის მთავრობის განკარგულებათა კრებულში“; ძალაში შედის ავტონომიურ რესპუბლიკებში, ოლქებში და საგუბერნიო ქალაქებში აღნიშნულ გამოცემათა სათანადო ნომრის მიღების დღიდან.

სრულიად რუსეთის საბჭოთა მე-12 ყრილობის მოწვევა გადადებულია 7 მაისისთვის

მოსკოვი. 27 აპრილი. სრულიად რუსეთის ცაკის დადგენილებით სრულიად რუსეთის საბჭოთა მე-12 ყრილობის მოწვევა გადადებულია 7 მაისისთვის.

პოლონეთის შიში

ვარშავა. 27 აპრილი. **„ვარშავის გაზეთი“** სწერს, რომ ჰინდენბურგის არჩევა ძალიან დიდ გავლენას იქონიებს საერთაშორისო ურთიერთობაზე. ეს ნიშნავს საფუძვლიან შერყევას იმ პრინციპებისას, რომელზედაც ბოლო წლებში სცდილობდენ დაემყარებიათ ისტორია.

„რეჩ პოსპოლიტას“ აზრით—ჰინდენბურგის არჩევის შემდეგ შეკავშირდებიან ყველა ის სახელმწიფოები, რომელთაც კი გერმანია ემუქრება და ამგვარათ შეიქმნება ლიგა ვერსალის ხელშეკრულობის პრაქტიკულათ განმტკიცებისა.

„ვარშავიანკა“ აღნიშნავს, რომ ჰინდენბურგის არჩევა ნიშნავს, რომ გერმანიამ ისევ იბრუნა პირი ძველი ტრადიციებისაკენ.

რეაქციის წინააღმდეგ

კომინტერნის აღმასკომის მოწოდება

მოსკოვი, 28 აპრილი. კომინტერნის აღმასკომმა ჰიდენბურგის გერმანიის პრეზიდენტად არჩევის გამო მოწოდებით მიმართა ყველა ქვეყნის მუშებს. მოწოდებაში ნათქვამია:

„გერმანიის და მთელი მსოფლიოს შეგნებული მუშები სერიოზულად უნდა ჩაუფიქრდენ ჰინდენბურგის არჩევის პოლიტიკურ მნიშვნელობას. იმ მუშებმა, რომლებიც კიდევ თანაუგრძნობენ სოციალ-დემოკრატიას, კარგად უნდა გაითვალისწინონ ის, **რომ სოციალ-დემოკრატიის ტაქტიკა აუცილებლად ხელს უწყობს მსოფლიო ბურჟუაზიული რეაქციის გამარჯვებას.**

მონარქიული საფრთხე გერმანიაში აშკარაა. მუშა-კომუნისტები მას აშკარად უნდა ხედავდენ. კომუნისტებს არ შეუძლიათ იმ თვალსაზრისის მიღება, რომ ჩვენთვის სულ-ერთია—მონარქია იქნება თუ ბურჟუაზიული რესპუბლიკა. კომუნისტები არა თუ ვერ იქნებიან გულგრილნი ამ საკითხისადმი, არამედ ისინი სათავეში ჩაუდგებიან ნამდვილ ბრძოლას მონარქიული საფრთხის წინააღმდეგ.

კომუნისტები ერთხელ კიდევ ხელს უწვდის მუშა სოციალ-დემოკრატებს, წინადადებას აძლევენ მათ შექმნან მათთან ერთად საერთო რევოლიუციონური ბრძოლის ერთიანი ფრონტი მონარქიული საფრთხის წინააღმდეგ. კომუნისტური ინტერნაციონალი მოგიწოდებს თქვენ მუშათა რიგების მთლიანობისაკენ, ბრძოლის ერთიანი ფრონტის შექმნისაკენ მსოფლიო ბურჟუაზიული და აგრეთვე მონარქიული რეაქციის წინააღმდეგ, ბრძოლისაკენ შეტევაზე გადმოსულ ფაშიზმის წინააღმდეგ, პროფკავშირთა მთლიანობის შექმნისაკენ. კომუნისტური ინტერნაციონალი მოგიწოდებთ გადამწყვეტ ბრძოლისაკენ ახალი ომების საფრთხის წინააღმდეგ.

ძირს მსოფლიო ბურჟუაზიული რეაქციის სოციალ-დემოკრატიული დამქაშები. გაუმარჯოს საერთაშორისო პროლეტარიატის რევოლიუციონურ ბრძოლას“.

არჩევნების გამოძახილი

საფრანგეთში

პარიზი. 27 აპრილი. რადგან ცნობა ჰინდენბურგის არჩევის შესახებ მიღებულ იქნა გვიან, გაზეთების უმრავლესობა დაკმაყოფილდა იმ კომენტარიებით, რომლებიც გამოქვეყნებული იყო ჯერ კიდევ მანამდე, სანამ მიიღებდენ ცნობებს კენჭისყრის შედეგების შესახებ.

საერთოდ კი ბურჟუაზიული პოლიტიკური წრეები საკმაოდ დამშვიდებულათ შეხვდენ ჰინდენბურგის არჩევას.

ზაუერვეინი **„მატენ“**-ში სწერს, რომ ჰინდენბურგის არჩევა გამოიწვევს უცხოეთის სახელმწიფოების უნდობლობას გერმანიის მიმართ.

რადიკალური პრესა ნაციონალურ ბლოკს აკისრებს პასუხისმგებლობას გერმანიაში მილიტარიზმის და რევანშის სურვილის წარმოშობისათვის.

„ერ ნუველ“ სწერს: „ჰინდენბურგის არჩევა არის დაგვიანებული, მაგრამ აუცილებელი შედეგი რურის ოკუპაციის“.

„ტან“-ი ეხება რა ჰინდენბურგის არჩევას აცხადებს, რომ ეს არის შედეგი კომუნისტების მუშაობის, რომლებიც ყველგან „ხელს უწყობენ რეაქციის გაძლიერებას“. გაზეთი აგრეთვე ხაზს უსვამს არჩევნებში ქალების მონაწილეობის საფრთხეს. „ტან“-ის სიტყვით, **ჰინდენბურგის არჩევა ნიშნავს გერმანიაში რესპუბლიკანური რეჟიმის დამხობას ახლო მომავალში, ხელის აღებას შეთანხმების პოლიტიკაზე და მისწრაფებას ვერსალის ხელშეკრულების გადასინჯვისაკენ.**

კომპარტიის ორგანო **„იუმანიტე“** რომელიც აღნიშნავს, რომ ანტიმონარქისტულად განწყობილმა მუშებმა ხმა მისცეს ტელმანს, აცხადებს, რომ თუ მონარქისტები მოინდომებენ ძალა-უფლების ხელში ჩაგდებას, რევოლიუციონური მუშათა კლასი, რომელსაც ხელმძღვანელობს კომპარტია, გზას გადაუღობავს მათ.

ინგლისში

ინგლისის პოლიტიკური წრეები თავს იჭერენ.

ლონდონი, 27 აპრილი. ინგლისის გავლენიან პოლიტიკურ წრეებში ჯერ-ჯერობით თავს იჭერენ გერმანიის პრეზიდენტად ჰინდენბურგის არჩევის შეფასებისაგან, მაგრამ ფიქრობენ, რომ მისი არჩევა შეაფერხებს **დოუესის გეგმის ცხოვრებაში გატარებას და გერმანიის წინადადებათა განხილვას საგარანტიო ხელშეკრულებების შესახებ.**

საღამოს გაზეთები დიდ უკმაყოფილებას გამოსთქვამენ გერმანიის არჩევნების შედეგების გამო.

ლოიდ-ჯორჯი, აფასებს რა გერმანიის არჩევნების შედეგებს, ნიშნავს, რომ **ჰინდენბურგის არჩევა არის აუცილებელი შედეგი „ნემსით ჩხვლეტის“ პოლიტიკის, რომელიც ტარდებოდა რურში, კელნში. ის ფიქრობს, რომ ჰინდენბურგის არჩევა ნაკლებ გავლენას იქონიებს გერმანიის საგარეო პოლიტიკაზე.**

იტალიაში

რომი, 27 აპრილი. „იდეა ნაციონალე“ ჰინდენბურგის არჩევის შესახებ სწერს: „გერმანიას რევანშის სურვილი ასულდგმულებს და ამიტომ პრეზიდენტათ სამხედრო პირი აირჩია. **მისი არჩევა მილიტარიზმის გამარჯვებას ნიშნავს**“.

„ტრიბუნა“ სწერს: „**გერმანია ბრუნდება მსოფლიო ასპარეზზე, დიპლომატების მიერ აშენებული ხოხოლას დაშლას უქადის.** ამიტომ დან გამარჯვებული სახელმწიფოები მარტო ვერ გადასწყვეტენ მსოფლიო საკითხებს. გამოჩნდა ვილაც, რომელიც იძულებულს გახდის მათ ანგარიში გაუწიონ გერმანიას“.

„ეპოქა“ სწერს: „ჩვენ არა ვართ პესიმისტები და არ ვფიქრობთ, რომ ახალი პრეზიდენტი ავანტიურისტულ პოლიტიკას აწარმოებს“.

„ჯიორნალე დ'იტალია“-ც ფიქრობს, რომ გერმანელი ნაციონალისტები ეკონომიური მოსაზრებით შეთანხმების პოლიტიკას აწარმოებენ.

უკანასკნელი ცნობები

შამპიონეს ქუჩაზე მომხდარ შეტაკების გარშემო

პარიზი, 27 აპრილი. საფრანგეთის პრესა ეხება შამპიონეს ქუჩაზე მომხდარ შეტაკებას. ახალი კომენტარიების გამომწვევი მიზეზია მსხვერპლთა დამარხვა, რაც, უნდა ითქვას, არ ატარებდა ისეთ გრანდიოზულ მანიფესტაციის ხასიათს, როგორც ეს ეგონათ ბურჟუაზიულ წრეებში. გლოვიარო პროცესიაში მონაწილეობას იღებდა რამდენიმე ათასი კაცი, უმთავრესად ფაშისტების ლიგის წევრები.

ბურჟუაზიული პრესა სარგებლობს შამპიონეს ქუჩაზე მომხდარ შეტაკებით და ბულგარეთის ამბებით, რათა კვლავ დაიწყოს კამპანია მოსკოვისა და კომინტერნის წინააღმდეგ. ამ კამპანიის მიზანია შეაშინოს კომუნიზმით ამომრჩევლებს (მაისის პირველ რიცხვებში საფრანგეთში მოხდება სათემო არჩევნები).

საბჭოთა კავშირის მოძულე გაზეთ „ლე ჟურნალის“ სოფიელი კორესპონდენტი აქვეყნებს საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის ცირკულარს 1925 წლის 12 მარტის თარიღით, რომელიც თითქოს აცნობებს ბულგარეთის კომუნისტებს მობილიზაციის გეგმას და ბალკანეთის კომუნისტური ფედერაციის ბრძანებებს.

შრომის უნიტარულმა კონფედერაციამ გამოაქვეყნა მოწოდება საფრანგეთის მშრომელთადმი, სადაც ის აღნიშნავს, რომ იზრდება საფრთხე მშრომელთათვის ფაშისტური ორგანიზაციების განვითარების სახით.

მშრომელი ახალგაზრდობის ყრილობა

პარიზი, 27 აპრილი. პარიზში შესდგა პარიზის რაიონის მშრომელი ახალგაზრდობის პირველი ყრილობა, რომელიც მოაწყო ახკომკავშირმა. ყრილობას დაესწრო 600-ზე მეტი დელეგატი.

წყალი ეპარებათ

ლონდონი, 27 აპრილი. „დეილი ტელეგრაფის“ დიპლომატიური კორესპონდენტის სიტყვით ინგლისის საგარეო საქმეთა სამინისტროში შეტყობინებულია ცნობით, რომლის მიხედვითაც ბრიანს სურს უარყოს საგარანტიო ხელშეკრულების საკითხის განხილვა ერთა ლიგაში გერმანიის მიღებამდე.

ს. ს. ს. რ. სახ. კომისარიატის [illegible]

„კომუნისტი“

ერთი თვით: პროფკავშირების წევრებისათვ. 75 კაპ.
დანარჩენებისათვის: თბილისში 1 მანეთი
პროვინციაში — 1 მ. 20 კაპ.

მიიღება ხელის მოწერა მაისისათვის

მაისის განმავლობაში ხელისმომწერლებს დაურიგდებათ:
I. ჟურნალი „ჩირაღდანი“ — ორი ნომერი (№ 9 და 10)
II. „ „მეცნიერება და ტეხნიკა“ ორი ნომ. (№ 9 და 10)

ბაქოს ბაზრობა
ბაზრობის გახსნა
ბანკეტი

ბაქო. 25 აპრ. ბაქოს ბაზრობის საზეიმო გახსნას მოჰყვა მრავალრიცხოვანი ბანკეტი, სადაც მოკავშირე რესპუბლიკების წარმომადგენლებთან ერთად მონაწილეობას იღებენ ოსმალეთისა და სპარსეთის გენერალური ელჩები.

ბანკეტზე პირველი მისასალმებელი სიტყვა წარმოსთქვა აღერბეიჯანის სახ. კომისართა საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. **მუსაბეკოვმა.**

მან აღნიშნა ამ ბაზრობის უმთავრესი დანიშნულება, რომ მჭიდრო კავშირი გავაბათ აღმოსავლეთის ერებთან როგორც ეკონომიურათ, ისე პოლიტიკურათ, და ამგვარათ განთავისუფლოთ აღმოსავლეთის ქვეყნები ბურჟუაზიულ-იმპერიალისტური ბატონობიდან.

მისმა სიტყვამ დიდი ტაშისცემა გამოიწვია დამსწრე საზოგადოებაში.

შემდეგ ილაპარაკა აღერბეიჯანის მეურ. უმაღ. საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. **ჰაჯი კასუმოვმა.** მან აღნიშნა აღერბეიჯანის მრეწველობის განვითარება და მისი როლი დღევანდელ ბაზრობაზე.

დიდის ყურადღებითა და აღტაცებით მოისმინეს ამიერ-კავკასიის საბჭოთა კავშირის და საქართველოს წარმომადგენლის ამხ. **ელიავას** სიტყვა. მან სხვათა შორის განაცხადა:

— ყოველ წლიწადს ბაქოს ბაზრობას უფრო და უფრო მეტი მნიშვნელობა ეძლევა. ის მჭიდროთ გვაკავშირებს ეკონომიურათ აღმოსავლეთის ქვეყნებთან და ამავე დროს ეს ეკონომიური კავშირი ძალაუნებურათ გადიქცევა პოლიტიკურ კავშირადაც. ეს კავშირი ჩვენ საშუალებას მოგვცემს უფრო მეტის ნაყოფიერებით ვებრძოლოთ ჩვენ საერთო მტერს—მსოფლიო იმპერიალიზმსო.

განსაკუთრებულის პატივისცემითა და აღფრთოვანებით შეეგებენ ოსმალეთის ელჩს—**ფერიდ-ბეის** და სპარსეთის ელჩს **იამინოლ მამელიკის** სიტყვებს.

შემდეგ ილაპარაკა ბაზრობის კომიტეტის წარმომადგენელმა — ამხ. **ილკუშინმა.** მან აღნიშნა, რომ ეს ბაზრობა მარტო სავაჭრო კი არ არის, არამედ საცდელი მინდორიც არის საბჭოთა კავშირსა და აღმოსავლეთის შორის კავშირის განსამტკიცებლათ.

გზათა სახ. კომისარიატის სახელით ილაპარაკა ამხ. **პოლუიანმა.** ბანკეტი დამთავრდა საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა სახ. კომისარიატის წარმომადგენლის სიტყვით.

ბაზრობის კომიტეტმა მრავალი მისალოცი დეპეშები მიიღო და სხვათა შორის ამხ. **ჩიჩერინისაგანაც.** ის აღნიშნავს უდიდეს როლს ამ ბაზრობისას და ამთავრებს შემდეგ სიტყვებით:

„მიიღეთ ჩემი გულწრფელი სალამი და გისურვებთ ნაყოფიერათ გემუშაოთ და გამარჯვებით დაგემთავრებინოთ ბაქოს ბაზრობა, რომელიც წარმოადგენს ახალ ნაბიჯს საბჭოთა კავშირსა და აღმოსავლეთ ქვეყნების შორის კავშირის განსამტკიცებლათ“.

პირველი დღის შედეგები

ბაზრობის გახსნის მეორე დღესვე სპარსეთის ვაჭრებისაგან მოხდა 1.140.000 მანეთის საქონლის დაკვეთა.

სანიტარულ-ტეხნიკური ყრილობა

ბაქოში, 25 აპრილს გაიხსნა კავშირის სანიტარულ-ტეხნიკური-საკავშირო ყრილობა.

ყრილობა გახსნა ბაქოს საბჭოს თავმჯდომარემ—ამხ. **კონუშკინმა.**

პრეზიდიუმის არჩევის შემდეგ ყრილობამ მოისმინა მისასალმებელი სიტყვები ამხ. **აღამალი-ოღლისა, ელიავასი, მუსაბეკოვისა, ჩაგინის და აგრეთვე მრავალ სამეურნეო და პროფესიონალურ ორგანიზაციების წარმომადგენელთა.**

ყველა ორატორები ხაზს უსვამდენ ამ ყრილობის უდიდეს მნიშვნელობას.

მისალმებები.

მთელი პირველი სხდომა მოუნდა მისალმებათა მოსმენას.

მეორე დღეს მოსმენილ იქნა ამხ. **სიდორენკოს** მოხსენება „აზნევტის“ მიერ მუშათა სახლების აღმშენებლობის შესახებ.

ბაქოს წყალსადენი.

შემდეგ მოხსენება გააკეთა ბაქოს წყალსადენის შესახებ ამხ. **სებასტიანოვმა.** მან კრების გააცნო მთელი ისტორია წყალსადენისა და აღნიშნა ის გაუმჯობესებანი, რომელთაც კიდევ საჭიროებს ეს წყალსადენი. ის აღნიშნავს აგრეთვე ბაქოს ახლომახლო სოფლებში წყლის მიწოდების საჭიროებას, რაც ხელს შეუწყობა სოფლისა და ქალაქის დაკავშირებას. ამას დასჭირდება 9 მილიონი მანეთი და ნავარაუდევია გათავდეს 5 წლის განმავლობაში.

ბაქოს კანალიზაცია.

ბაქოს კანალიზაციის შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. **ბანნიკოვი.**

ბაქო-ბათუმის ნავთსადენი.

ბაქო-ბათომის ნავთსადენის შესახებ ვრცელი მოხსენება გააკეთა ამხ. სტაროდუბმა.

ეს ნავთსადენი უნდა გაკეთდეს პარალელურათ იმ ნავთსადენთან, რომელიც უკვე არსებობს. ამგვარათ წლის განმავლობაში ბათომში გადაჰქაჩავენ 140 მილიონ ფუთს.

ბათომში მოწყობილი იქნება 200 მილ. ფუთის დამტევი რეზერვუარები. ამ ახალი მილების გაყვანა დაჯდება 27 მილ. მანეთი. წლიური შემოსავალი იქნება 9 მილ. ამგვარათ მთელი ხარჯები ანაზღაურებული იქნება სამი წლის განმავლობაში.

პარტიული ცხოვრება
არსენალის რაიკომში
რაიონის შემადგენლობა.

ამ ჟამათ არსენალის რაიონი აერთიანებს 1511 ამხანაგს, აქედან 965 პარტიის წევრია და 546 კანდიდატი. პარტიის წევრთა და კანდიდატთა საერთო რაოდენობიდან 195 ქალია. სოციალური მდგომარეობის მიხედვით არსენალის რაიონის ორგანიზაციაში ითვლება 1009 მუშა და 502 მოსამსახურე. კომუჯრედთა მთელი რაოდენობა რაიონში უდრის 39, აქედან საფაბრიკო-საქარხნო უჯრედია—22, სამხედრო—1, სხვა—16.

ამ წარმოებებში და ქარხნებში, სადაც კომუჯრედები არსებობენ, მუშაობს 9.385 კაცი, მათ შორის 6.399 მუშაა და 2.986 მოსამსახურე.

კავშირი ადგილებთან და აპარატის მუშაობა.

6 თვის განმავლობაში რაიონულმა კომიტეტმა მოისმინა უჯრედების მდივანთა 24 ანგარიში. გარდა უჯრედების მდივანთა მოხსენებების მოსმენისა, რაიკომის პრეზიდიუმის წევრები და ინსტრუქტორები ესწრებოდენ უჯრედების სხდომებს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მუშაკების ნაკლებობა ერთ დროს საშუალებას არ აძლევდა რაიკომის წევრებს დასწრებოდენ უჯრედების ბიუროების და უჯრედების სხდომებს, რაც აუცილებელი იყო ადგილების მუშაობისათვის ხელმძღვანელობის გაწევის მიზნით, მაგრამ უკანასკნელი დროის განმავლობაში მდგომარეობა გამოკეთდა, რაც სჩანს ქვემომოყვანილ ციფრებიდან. მიმდინარე წლის თებერვალში რაიკომის წევრები დაესწრენ უჯრედების 13 სხდომას და ბიუროების 13 სხდომას, მარტში ეს ციფრი გაიზარდა 42-დი, ამასთანავე პრეზიდიუმის ცალკე წევრები დაესწრენ უჯრედების ბიუროების 19 სხდომას, რაც საშუალებას აძლევდა რაიკომს სწორი ხელმძღვანელობა გაეწია ადგილების მუშაობისათვის და თავის დროზე გამოესწორებია კომუჯრედების მუშაობის ხაზი.

რაიონულმა კომიტეტმა სერიოზული ყურადღება მიაქცია უპარტიოთა შორის მუშაობას და მათ აქტიურად ჩაბმას საზოგადოებრივ მუშაობაში. 1924 წლის ოქტომბერში ყველა უჯრედებში მოწვეული იყო უჯრედების 37 ღია სხდომა, რომლებსაც დაესწრო 674 კაცი, 1925 წლის იანვარში ღია სხდომების რიცხვი იზრდება 40-ით, სხდომებს ესწრება უკვე 1.050 უპარტიო მუშა. მარტში ღია სხდომების რიცხვმა მიაღწია 94, ამ სხდომებზე დამსწრე უპარტიო მუშების რაოდენობა კი ავიდა 3.883-დი.

1924 წლის ოქტომბრიდან დეკემბრამდი რაიკომში შეტანილი იყო 300 განცხადება პარტიაში მიღების შესახებ, ა. წ. იანვრიდან მარტამდი 286 განცხადება. ამრიგათ, სჩანს მუშების ძლიერი ლტოლვა კომპარტიის რიგებისაკენ. შემჩნეულია აგრეთვე მასწავლებლობის ძლიერი ლტოლვაც კომპარტიის რიგებისაკენ. რაიონულმა კომიტეტმა ჯერჯერობით თავის რიგებში მიიღო 5 მასწავლებელი.

ექვსი თვის განმავლობაში რაიონული კომიტეტის მიერ პასუხსაგებ სამუშაოზე წამოყენებული იყო 20 ამხანაგი; მათ შორის: სამეურნეო სამუშაოზე—10, პროფესიონალურზე—5, პარტიულზე—5.

როტინოვი.

პარტიული ქრონიკა
ს.კ.პ. თბილისის კომიტეტში.

საორგანიზაციო კოლეგიამ განიხილა რა საკითხი უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტების გამოყენების შესახებ საზაფხულო არდადეგების დროს, დაადგინა: საჭიროთ იქნეს ცნობილი სტუდენტების გამოყენება საზაფხულო არდადეგების დროს სოფლათ მუშაობის საქმეში; ამ მიზნით უმაღლესი სასწავლებლების ყველა უჯრედებში დასმული იქნეს საკითხი პარტიის ამოცანების შესახებ სოფლათ.

ამასთანავე ქალაქის რაიკომს წინადადება მიეცა მოახდინოს იმ სტუდენტების აღრიცხვა, რომლებიც საზაფხულო არდადეგების დროს თბილისის მაზრაში მიემგზავრებიან.

ამხ. აკოპოვს დაევალა შეიმუშაოს პროექტი უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებისა და მუშფაკელების მუშაობისა და ამოცანების შესახებ სოფლათ საზაფხულო არდადეგების დროს.

პროფკავშირთა თათბირი სოფლად მუშაობის შესახებ
თათბირის გახსნა.

შაბათს 25 აპრილს პროფკავშირთა მცირე დარბაზში გაიხსნა ა/კ. პროფკავშირთა თათბირი სოფლათ მუშაობის შესახებ.

თათბირზე გამოცხადდა 35 დელეგატი ამიერ-კავკ. ყველა რესპუბლიკებიდან.

თათბირის დღის წესრიგი შეიცავს შემდეგ საკითხებს: მოხსენებები ადგილებიდან სოფლათ წარმოებულ მუშაობის შესახებ; პროფკავშირები და სოფლათ მუშაობა; საორგანიზაციო კულტურული და სატარიფო-ეკონომიური საკითხები.

პრეზიდიუმის არჩევისა და რეგლამენტის დამტკიცების შემდეგ თათბირი შეუდგა საქმიან მუშაობას.

პირველათ თათბირზე მოსმენილ იქნა ამხ. სემკოვის მოხსენება.

პროფკავშირები და სოფლათ მუშაობა
(მომხსენებელი ამხ. სემკოვი).

ამხ. სემკოვი აღნიშნავს, რომ თათბირის ამოცანაა ჯამი გაუკეთოს იმ მუშაობას, რომელიც პროფკავშირებს სოფლათ უწარმოებია.

ეს მუშაობა,—ამბობს ამხ. სემკოვი—ჯერ ახალი საქმეა, გამოცდილება ჯერ მცირეა და ამიტომ თათბირმა აზრთა გაცვლა-გამოცვლით, გამოცდილების გაზიარებით ნაკლულოვანებისა და წარმატებების აღნიშვნით სწორ გზა უნდა გამონახოს შემდეგი მუშაობის გასაგრძელებლათ.

პროფკავშირების მუშაკთა საქმიანობას სოფლათ ორმაგი ხასიათი აქვს. ერთი მხრივ ჩვენ, როგორც პროფორგანიზაციების წარმომადგენლები მოვალენი ვართ დავიცვათ დაქირავებული შრომა, დავიცვათ დაქირავებულ შრომის მუშაკთა უფლებრივი ინტერესები სოფლათ.

მეორე მხრივ ჩვენ წარმოვადგენთ პროფკავშირებს საბჭოთა სახელმწიფოში, ჩვენ ვართ ნაწილი მუშათა კლასისა, რომელიც ითვლება საბჭოთა სახელმწიფოს მთავარ დასაყრდნობათ.

სოფლათ მუშაობას ჩვენ ამ ორი თვალსაზრისით უნდა მივუდგეთ. სოფელი გამოსახავს ჩვენს თანამედროვე საბჭოთა მეურნეობას და ამიტომ მასაც ახასიათებს ეს ორმაგობა.

ერთი მხრივ არის კაპიტალიზმის პროცესი, რადგან ახალი ეკონომიური პოლიტიკის შემოღების შემდეგ ვითარდება სავაჭრო მეურნეობა.

მეორე მხრივ სოფლათ ჩვენ გვაქვს სოციალისტური მშენებლობის ჩანასახი და სოციალიზმის ძირითადი დასაყრდნობი — ნაციონალიზაციაქმნილი მიწა, ეს არის ძირითადი ფაქტორი, რომელიც განსაზღვრავს თუ ვინ არის მიწის პატრონი სოფლათ.

ვაჭრობის ბაზრის და ახალი ეკონომიური პოლიტიკის არსებობის დროს არ კმარა მარტო მიწის დაპატრონება, არ კმარა ის რომ მიწის მფლობელი სახელმწიფო იყოს.

ბაზარი იზიდავს სოფლის პროდუქტებს, თავისუფალ მუშა ხელს და ეს გარემოება—ხელს უწყობს სოფლის მშრომელი მასსების კლასობრივათ გადაჯგუფებას. სწორეთ ამ თვალსაზრისით გვმართებს ჩვენ ხელმძღვანელობა სოფლათ მუშაობის დროს.

შემდეგ მომხსენებელი გადადის ამიერ-კავკ. რესპუბლიკების გლეხის მეურნეობის მიმოხილვაზე და სტატისტიკური ცნობებით თათბირს აცნობს ქართველი, სომეხი და თათარი გლეხის ეკონომიურ შემძლეობას.

თბილისის საბჭოს პირველი პლენუმი

გუშინ, საღამოს 6 საათზე, სახალხო სახლში შესდგა თბილისის მეხუთე მოწვევის საბჭოს პირველი პლენუმი.

ზაჰესის სამუშაოების შესახებ
(ინჟ. ბ. ჭიჭინაძის მოხსენება)

ზაჰესის სამუშაოების შესახებ მოხსენებას აკეთებს სამუშაოთა უფროსი ინჟ. **ჭიჭინაძე.**

ზემო-ავჭალის ჰიდრო-ელექტრო სადგურის ასაგებათ წარმოებულ მუშაობაში მთავარი მნიშვნელობა აქვს სამ ნაწილს: განათხარი, რომელშიაც გადაყვანილია მტკვარი საგუბარის დამთავრებამდი, საგუბარი და სადგურის მთავარი შენობა.

განათხარის სამუშაოები უკვე დამთავრებულია, ეხლა სწარმოებს კედლების ბეტონიზაცია, რომელიც აგრეთვე ჩქარა იქნება დამთავრებული.

საგუბარის საძირკვლის ჩაყრას ხელი შეუშალა ხანგრძლივმა და სუსხიანმა ზამთარმა. იმ ადგილას, სადაც უნდა მომხდარიყო საძირკვლის ჩაყრა, ერთი არშინის სისქე ყინვა იყო, რაც ხელს უშლიდა მუშაობას.

15 თებერვლიდან მუშაობა ისევ გაცხოველდა, დროებითი კედლები დამთავრებულია, გამაგრებულია ბეტონის კედლები, რის შემდეგაც საშიში აღარ არის წყალდიდობა.

მარტის განმავლობაში უკვე ადგილი ჰქონდა ორ წყალდიდობას (10 და 20 მარტს), მაგრამ დროზე მიღებული ზომების წყალობით წყალდიდობამ უმტკივნეულოთ ჩაიარა.

მუშაობა ამ ჟამათ ჩქარის ტემპით მიმდინარეობს და მთელი საგუბარი მზათ იქნება მომავალი წლის თებერვლისათვის.

სადგურის მთავარი შენობის მიწის და კლდის სამუშაოები უკვე დამთავრებულია. მუშაობა რამოდენიმე ხნით შეაჩერა ამას წინათ ზაჰესის ახლოს მომხდარმა კატასტროფამ. ლიანდაგიდან აცდენილი ორთქმავალი ჩავარდა სწორეთ იმ ადგილში, სადაც ჩვენ მუშაობას ვაწარმოებდით. ორთქლმავალის ამოღების შემდეგ მუშაობა კვლავ განახლდება. სადგურის შენობას საძირკველი ჩაეყრება მაისის პირველ ნახევარში.

შენობის ზოგიერთი ნაწილების დამთავრების შემდეგ ზაჰესკომი შეუდგება საწნეო არხის დამთავრებას; ამ არხიდან წყალი წავა ტურბინებისაკენ, რომლებიც დადგმული იქნება სადგურის შენობაში. ამ არხის სამუშაოების 40 პროც. უკვე დამთავრებულია.

რაც შეეხება სადგურის მოწყობილობას, უნდა ითქვას, რომ ზოგიერთი ნაწილები უკვე მიღებულია (მაგალითად, სამი ტურბინა გერმანიიდან), ზოგიც მზადდება რუსეთის ქარხნებში და მიღებული იქნება თავის დროზე.

ზაჰესის ენერგიის გამოყენება თბილისში
(მომხსენებელი პროფ. დიდებულიძე)

ამ ჟამათ გაძლიერებული მუშაობა სწარმოებს ზაჰესის ენერგიის წინასწარ გასანაწილებლათ თბილისში. დამთავრებულია სტატისტიკური მუშაობა. გამოკვლეულია ყველა მსხვილი მომხმარებლები (მთავარი სახელოსნოები, დეპო, ქარხნები და სხვა), გამორკვეულია, თუ რამდენი ენერგია იქნება მათთვის საჭირო. ამასთანავე გაზომილი იქნა ყველა ქუჩები. ყველა ამ მასალების შეგროვების შემდეგ გამოანგარიშებული იქნა ის, თუ რამდენი ენერგია დასჭირდება თვითეულ უბანს.

თბილისში სულ საჭირო იქნება 13.150 კილოუატი, აქედან შენობების გასანათებლათ—5.200, მაღაზიებში, კინოებში, თეატრებში და სხვა 1.400, ქუჩებში—400, სხვადასხვა მოტორებისათვის ქარხნებში—5,300 და სხვა.

შემდეგ ამხ.. მესხის მოხსენების გამო პლენუმმა დაამტკიცა აღმასკომის მიერ წარმოდგენილი სექციები.

გროზნო-ფოთის ნავთსადენი

ამ დღეებში თბილისში ჩამოვიდა „გროზნეფტ“-ის კომისია, რომელმაც დაათვალიერა ფოთის ნავთსადგური. კომისიაში შედიოდენ: ინჟენრები აკკერმანი, სევასტიანოვი, მარტინოვსკი, დაშევსკი და კოჩენი. კომისიას თათბირი ჰქონდა საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომისიის და ფოთის დაწესებულებების წარმომადგენლებთან.

თათბირზე კომისიამ წარმოადგინა თავისი ცნობები ფოთის ნავთსადგურის და მის ახლო მდებარე ადგილების დათვალიერების შესახებ.

ფოთის ნავთსადგურის მთავარმა ინჟენერმა **ტრენიუხინმა** აღნიშნა, რომ 600,000 მანეთის დახარჯვით შესაძლებელი იქნება ფოთში 6 გემის სადგომის მოწყობა, რომლის შემწეობით თავისუფლად გაიზიდება ნავთსადგურიდან 120 მილიონი ფუთი ნავთი. გემების სადგომის მოწყობისათვის საკმაო იქნება 1 ნახ.—2 წელი. ნავთის ექსპორტის 200—250 მილიონ ფუთამდე გადიდების შემდეგ, განზრახულია სადგომების გამრავლება ნათსადგურის ჩრდილოეთ ნაწილისაკენ. ნავთსადგურის ისე მოწყობას, რომ შესაძლებელი იქნეს 200—250 მილიონ ფუთი ნავთის ექსპორტი, დასჭირდება 3,300,000 მანეთი.

ინჟენერ ტრენიუხინის განცხადებას „გროზნეფტ“-ის წამომადგენელმა გაუკეთა შენიშვნა, რომელიც შეეხებოდა ნავთსადგურში 6 სადგომის მოწყობას.

გათვალისწინებული სანავთსადენო მილები გემების სადგომებთან კომისიას არ მიაჩნია საკმარისად და საჭიროდ სთვლის უფრო დაწვრილებით იქნეს ეს საკითხი გამორკვეული. კომისიის წარმომადგენლები საჭიროდ სთვლიან ექვსი სადგომის მოწყობისათვის ნავარაუდევი თანხა 600,000 მან. გადიდებული იქნეს 800,000—1,000,000 მანეთამდე. კომისიის აზრით, ნავთსადგურის ისე მოწყობას, რომ შესაძლებელი იქნეს წლიურად 200—250 მილიონი ფუთი ნავთის ექსპორტი, უფრო მეტი დასჭირდება, ვიდრე 3,300,000 მანეთი.

საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომისიის წარმომადგენელი ამხ. **ნიკოლაძე** აღნიშნავს, რომ ნავთსადგურის სამხრეთით და აგრეთვე ჩრდილოეთით რიონს გაღმა არის ადგილი ნავთის დასამუშავებელ ქარხნების მოსაწყობად.

ფოთის აღმასკომის წარმომადგენელი ამხ. **გოგია** აღნიშნავს, რომ ქ. ფოთის მახლობლად არსებული ადგილი ქარხნებისათვის სავსებით საკმარისი იქნება ნავთსადენით მიღებული ნავთის დასამუშავებლად. არავითარ გართულებას ქარხნების ასაგებად ადგილების განთავისუფლება არ გამოიწვევს, ამის გარანტიას იძლევა აღმასკომი. ამხ. გოგია ხაზს უსვამს იმას, რომ ფოთს პირველი ადგილი უჭირავს გროზნოს ნავთის ექსპორტისათვის ნოვოროსიისკთან, ტუაპსესთან და ბათომთან შედარებით. ფოთი კარგი ნავთსადგურია, რომელსაც აქვს ვეებერთელა ტერიტორია ქარხნებისათვის, უზრუნველყოფილია სავსებით გამოსადეგი წყალით. ფოთი უზრუნველყოფილია აგრეთვე მუშა ხელით. დასასრულ ამხ. გოგია აღნიშნავს, რომ საკითხი ნავთსადენის საბოლოო პუნქტის არჩევის შესახებ უნდა გადაიჭრას მხოლოდ ციფრობრივი მასალების მიხედვით.

„გროზნეფტ“-ის წარმომადგენელმა ინჟ. **აკკერმანმა** აღნიშნა, რომ ნავთსადენის საბოლოო პუნქტის არჩევის საკითხი მრავალ ტეხნიკურ დაბრკოლებებთან არის დაკავშირებული.

ნოვოროსიისკის, ტუაპსესა და ფოთის დათვალიერების შემდეგ კომისია მივიდა იმ დასკვნამდი, რომ მხოლოდ ფოთში იქნება დაცული სამი მთავარი პირობა ნავთის საექსპორტო დიდი ქარხნის მოსაწყობად, სახელდობრ: საკმაოდ მოხერხებული მოედანი, წყალის საკმაო რაოდენობა და კარგი ნავთსადგური.

გუშინ კომისია თბილისიდან გროზნოს გაემგზავრა.

საქართველოს ცაკში
ლეჩხუმის მაზრაში მთავრობის ორგანოების მუშაობის გამოსარკვევად.

საქ. ცაკმა შეადგინა კომისია ამხ. ამხ. ლ. დუმბაძის, კვარაცხელიას და ქავთარაძის შემადგენლობით.

სოფლისათვის სახელწოდების შეცვლა.

ცაკმა დააკმაყოფილა სოფ. ჩივანთუბანის მცხოვრებთა შუამდგომლობა აღნიშნულ სოფლისთვის სახელწოდების შეცვლის და მისთვის ამიერიდან სოფ. ეზათის დარქმევის შესახებ.

მიწისა და საძოვრების საკითხის

მოსაწესრიგებლათ ცაკმა შეადგინა კომისია ამხ. ამხ. ვარძიელის, ქვანიას და კალანდაძის შემადგენლობით.

საბჭოთა აღმშენებლობისათვის.

ცაკმა გამოყო საბჭოთა აღმშენებლობის შესახებ არსებული მუდმივი თათბირის პრეზიდიუმი ამხ. ფ. მახარაძის თავმჯდომარეობით.

გერმანელთა ახალშენს.

ალექსანდროგოლფის, მცხოვრებთა შუამდგომლობის თანახმად, ეწოდა როზენბურგი.

კურორტების გაფართოების მიზნით.

ცაკმა მიიღო დადგენილების პროექტი საკურორტო ადგილებზე თავისუფალ მიწის ნაკვეთების გაცემის შესახებ შენობების ასაგებათ.

მოქ. ბელსკის განთავისუფლება.

ცაკის დადგენილებით განთავისუფლებული იქნა შემდეგი სასჯელის მოხდისაგან მოქ. ალ. ბელსკი, რომელიც დაპატიმრებული იყო ცოლის მოკვლისათვის.

ქრონიკა
მისალმების დეპეშა.

ამიერ-კავკასიის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. მამია ორახელაშვილმა ბაქოდან წყალსადენის და სანიტარულ-ტეხნიკურ დარგის მუშაკთა ყრილობისაგან შემდეგი მისალმების დეპეშა მიიღო:

წყალსადენის და სანიტარულ-ტეხნიკურ დარგის მუშაკთა პირველმა (13-ე) სრულიად საკავშირო ყრილობამ, რომელიც შეიკრიბა ამიერ-კავკასიის ფედერატიული რესპუბლიკის ცენტრში, თავის პირველ საზეიმო სხდომაზე 25 აპრილს აგირჩია თქვენ ყრილობის საპატიო თავმჯდომარეთ.

გაცნობებთ რა ამას, ყრილობა მოგესალმება თქვენ და იმედს გამოსთქვამს, რომ ყრილობა, რომელიც განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევს ამიერ-კავკასიის დასახლებულ ადგილების კეთილმოწყობის ყველა საჭირბოროტო საკითხებს,—თავისი მუშაობით გააადვილებს ამ საკითხების გადაჭრას მშრომელთა საკეთილდღეოდ, რისი თავდებიც არის ის ფართო დახმარება, რომელიც აღმოუჩინა ყრილობას საბჭოთა ხელისუფლებამ.

ყრილობის პრეზიდიუმი.

— **განათლების მუშაკთა სახლში** დღეს, შესდგება ლენინის კომკავშირის ახალგაზრდობის მდგომარეობის შემსწავლელი კომისიის სხდომა, რომელზედაც მოწვეულნი არიან თბ. ყველა შრომის სკოლებისა და ტეხნიკუმების გამგეები.

— **გლეხთა ცენტრალურ სახლს** ქ. აღმასკომმა კომუნალურ ბანკიდან სესხათ მისცა 6000 მან.

— **პოლიტკატორღელთა საზოგადოებას** ქ. აღმასკომმა აპატია მასზე დარჩენილ კომუნალურ გადასახადის 50 პროც.

— **დახმარება დაზარალებულ გლეხებს.** ქ. აღმასკომმა სართიჭალის აღმასკომს გადასცა 2000 მან. სოფ. უჯარმის სტიქიურ უბედურებისაგან დაზარალებულ გლეხებისათვის ხორბლეულის დასარიგებლათ.

— **სტენოგრაფიის შესასწავლათ.** ქ. აღმასკომმა ერთი სტენოგრაფისტკისთვის სტენოგრაფიის შესასწავლათ გადასდო 300 მან.

— **ყარაიაზის ირწყავ არხების** შესაკეთებლათ ა/კ. წყალთა მეურნეობის სამმართველომ გადასდო 45 ათასი მან.

— **სპეცტანისამოსი.** შრ. სახ. კომისარიატის დადგენილებით სპეცტანისამოსის დაკარგვის ან განგებ გაფუჭების დროს მუშა-მოსამსახურე პასუხს აგებს ისევე, როგორც სახელმწიფო ქონების გამფლანგველი.

— **საქართველოში მეაბრეშუმეობის** საქმის გასაძლიერებლათ ა/კ. სასოფლო-სამეურნეო ბანკმა გასცა სესხად 340 ათასი მან.

— **ლექციები სატყეო მეურნეობაზე.** მიწად-მოქ. სახ. კომისარიატი გლეხთა ცენტრალურ სახლში ახლო ხანში დაიწყებს ლექციების მოწყობას სატყეო მეურნეობაზე.

— **საზ—ბა „აბრეშუმი“** სრულიად მეაბრეშუმეთა საზოგადოება „აბრეშუმის“ საორგანიზაციო ბიურომ შუამდგომლობა აღძრა საქ. შრომის კომისარიატის წინაშე, რათა ა./წ. 1 და 3 მაისს ნება დართული იქნეს კოოპერატივებში ჭიის თესლის დარიგება, ვინაიდან სიცხეების გამო მოსალოდნელია თესლის გაფუჭება.

— **ტყის სანიმუშო მოსაშენებლათ** ქუთაისის მაზრაში, მიწად-მოქ. სახ. კომისარიატმა მიავლინა აგრონომი ფირცხალაიშვილი.

— **ხის თესლების დამზადება-გასაღება.** მიწად-მოქ. სახ. კომისარიატის სატყეო განყოფილებამ გადასწყვიტა ფართოდ მოაწყოს საქართველოში ხის თესლეულობის დამზადებისა და მისი საზღვარგარეთ გასაღების საქმე.

— **ავტომობილების შეძენა.** ა/კ. ავტომობილების სავაჭრო-სამრეწველო საზოგადოება იტალიაში იძენს ავტომობილების დიდ პარტიას.

— **სულით ავადმყოფთა მეგობრების** საზოგადოების წესდების შედგენას ახლო ხანში დაამთავრებს ჯანსახკომი.

— **დამზღვევ კასას** მიმდინარე საბიუჯეტო წლის ნახევარში დასაზღვევ გადასახადისაგან შემოუვიდა 1.216.000 მან.

— **საექიმო დახმარება.** გასული წლის 1 ოქტომბრიდან ამა წლის 1 აპრილამდე დამზღვევ კასამ ჯანსახკომის საექიმო ქვეგანყოფილებას გადასცა 309,665 მან. დაზღვეულთათვის საექიმო დახმარების აღმოსაჩენათ.

— **„ევკუგრუზის“** გამგეობის დადგენილებით, იმ წევრებს, რომლებსაც არ უსარგებლიათ გრძელვადიანი კრედიტით, შეუძლიათ ისარგებლონ დღეიდან ერთი კვირის განმავლობაში, რის შემდეგ გრძელვადიანი კრედიტის გაცემა შეწყვეტილი იქნება.

— **ქართველ ექიმთა კრება.** ხუთშაბათს, 30 აპრილს, საღამოს 8 ს. საქართვ. მუზეუმის აუდიტორიაში ქართვ. ექიმთა საზოგ. მორიგი კრება. 1. პროფ. ს. ამირეჯიბი და ექ. კ. ტყეშელაშვილი.—ვასერმანის ხსოვნისათვის. 2. პროფ. ს. ვირსალაძე.—თანამედროვე მეცნიერული მიმართულება გერმანიაში: 3) ამებიაზის პრობლემა, 3. მიმდინარე საკითხები.

ხელოვნება

— **სახელმწიფო კონსერვატორიის დარბაზში.** 4 მაის პროფ. ზელიონი მართავს კონცერტს თავის კლასის ღარიბ სტუდენტთა სასარგებლოდ.

— **ჟურნ. „მნათობი“.** გამოვიდა და ხელის მომწერლებს დაურიგდებათ ჟურნალი „მნათობის“ მორიგი № 3 11) შემდეგი შინაარსით: ვალ. გაფრინდაშვილი—პარიზის კომუნა, მიხ. ჯავახიშვილი—ყაჩამ დაიგვიანა, ვ გაბესკირია—დღეები ზღვაზე, დია ჩიანელი—საქართველო სამფეროვანი, ბორის პილნიაკი—შიშველი წელი, ანატოლ ფრანსი—ღმერთებს სწყურიათ, გერ. ქიქოძე—ქართული მხატვრობა და ფიროსმანიშვილი, ელისაბედ ყაზბეგი—დმ. ყაზბეგისა და ალ. ყაზბეგის ბიოგრაფიის მასალები, ს. გორგაძე—ახალი სალიტერატურო ქართულის ისტორიიდან, ს. ქავთარაძე—საერთაშორისო მდგომარეობის საკითხები, ვარდინის მოხსენება და ლ. ტროცკის სიტყვა სალიტერატურო თათბირზე, ბიბლიოგრაფია.

— **„ფაუსტი“ სომხურ ენაზე.** დღეს ოპერის თეატრში წარმოდგენილი იქნება პირველად სომხურ ენაზე ოპერა „ფაუსტი“, დ. დანელიანის და ისეცკის მონაწილეობით.

— **მასწავლებელ ლ. ხევსურიანის** 35 წლის იუბილე, რომელიც უნდა გამართულიყო 30 აპრილს, გაიმართება 5.

— **„აბესალომ და ეთერი“.** ხვალ დაიხურება ოპერის სეზონი. წარმოდგენილი იქნება: „აბესალომ და ეთერი“.

— **პროფ. შალვა ნუცუბიძის მოხსენება.** დღეს, თეატრ „ტარდ“-ში პროფ. შ. ნუცუბიძის დანიშნული მოხსენება თემაზე: „ქართული ინტელიგენცია და საბჭოთა ხელისუფლება“ გადაიდო. დღე ცალკე იქნება გამოცხადებული.

დღეს კინოებში

— აპოლო—„ორი ობოლი“.
— არტისტო—„მესსალინა“.
— სოლეი—„მესსალინა“.
— თვითმფრინავი—„ურაგანი“.
— ოაზის—„ამერიკელი ქალის თავგადასავალი“.
— აისი—„კარნავალის ბავშვები“.

შემთხვევები

— **თავის დახრჩობა.** 27 აპრილს მოქ. პორფილე ფანჯავიძემ მცხოვრ. ყაზბეგის ქ. № 37 განაცხადა მილიციაში: მასთან მცხოვრებ ნათესავს ვერა კვატაძეს დაუტოვებია წერილი, რომ ის წავიდა მტკვარში თავის დასახრჩობათ. ვერის ხიდის მახლობლად მოდარაჯე მილიციელის მიერ ნაპოვნი იქნა კვატაძის ტანისამოსი.

— **ოჯახში უკმაყოფილების გამო** 27 აპრილს დღით თამარ საკურაშვილი (მცხ. ტემუროვის ჩიხი № 3) გადავარდა მტკვარში, რომელიც გადარჩენილ იქნა შემთხვევით. ის მშობლებს ჩაბარდა ხელ-წერილის ქვეშ.

— **ავტომობილის მსხვერპლნი.** 27 აპრილს, საღამოს 6 საათზე, კახეთის ქუჩაზე სასწრაფო დახმარე ავტომობილი დაეჯახა საგუშაგოზე მდგომ მილიციელს ბენაშვილს და მასთან მყოფ მოქ. მამედ გუსეინოვს, დაშავებულნი გადაგზავნილნი იქნენ საავადმყოფოში. შოფერი ივანე გავრილენკო შეიპყრეს.

— **თავის მოწამვლა.** 27 აპრილს საღამოს 7 საათზე. ახალ გეგმის ქ. კანდარელის სახლში ოჯახურ უთანხმოების ნიადაგზე თავი მოიწამლა მოქ. მარგარიტა ტერ-სარქისოვისამ, რომელიც გადაგზავნილი იქნა ქ. 1-ლ საავადმყოფოში.

ქურდობა.

— 27 აპრილს, დღის 1 საათზე, წყაროს ქ. მოქ. ფიცხელაურის სახლში გაქურდეს თებრონე ჩოტიშვილის ბინა.

— ამავე დღეს ელისაბედის ქ. № 180, მარიამ ჩილინგარიანის ბინიდან მოპარული იქნა 1 ოქროს საათი, ოქროს სამაჯური და სხ. ნივთები, სულ 70 მან.

— 26 აპრილს, არსენალის გზატკეცილი № 19, გაქურდეს მოქ. გერასიმე თაბაგუას ბინა.

— 27 აპრილს, დღის 11 ს. იზმაილოვის ქ. № 38 გაქურდეს ნადეჟდა აბულაძის ბინა, წაიღეს სხვადასხვა ნივთები სულ 220 მანეთის.

— ამავე დღეს მოდენის შესახ. № 4 გატეხეს სოფიო ხვედელიძის სავაჭრო, წაღებულია 120 მან. ფულად. ეჭვით შეიპყრეს ხეჩო დავიდოვი.

მუშათა ცხოვრება
ბაღს პატრონობა უნდა
(აღმასკომის საყურადღებოდ).

ამხ. ჯაფარიძის სახელობის ბაღი არ ჩამოუვარდება დანარჩენ ბაღებს თავის სილამაზით, ბაღი არის გარსშემორტყმული მავთულის ღობით; მაგრამ ამ ღობეს არ უვარგა კარები, ბაღი ღამის 9 საათამდის არის ღია. შემდეგ იკეტება, მაგრამ ავარა ხალხი მავთულებიდან მაინც შედის ბაღში და აფუჭებს ნორჩ მცენარეებს.

აღმასკომო, ნუ გააფუჭებ ბაღს. შემოავლე მას კარგი ღობე და გაუკეთე კარებები, რომ ბაღს ავალცდინოდ განადგურება.

წითელარმიელი **არჩ. ოქროპირიძე.**

რკინის გზებს ღუპავენ
(მუშათა და გლეხთა ინსპექციის და საუბნო კავშირის საყურადღებოდ).

ამას წინად ა/კ. რკინისგზების სამასალო ნაწილის ადმინისტრაციამ პასუხისგებაში მისცა სამასალო სამსახურის წარმონაწილის ბუღალტერი **სამხარაძე,** რომელსაც ბრალს სდებდენ—სამსახურისადმი დაუდევრობაში, საქმის არევ-დარევაში და სხვა, რისთვისაც იგი სამსახურიდან მოხსნილი იქნა. სასამართლოში საქმის გამოძიების დროს გამოირკვა, რომ **სამხარაძე** სრულიად მართალი იყო და სამსახურისადმი არავითარი ბრალი არ მიუძღვის; ამიტომ იგი სასამართლოს მიერ გამართლებულ იქნა და მასთან შრომის კანონთა კოდექსის ძალით, გადაუწყდა დაკმაყოფილება მთელი ჯამაგირის რაოდენობით ცხრა თვის განმავლობაში მისი პასუხისგებაში მიცემის დროიდან. ეს თანხა უდრის ათას მანეთს.

აი ასეთ რაღაც ინტრიგების გულისთვის რკინისგზებმა ისედაც ღარიბ სალაროდან ათასი მანეთები უნდა გაიღოს.

ეს ხომ მარტო პირველი მოვლენა არ არის? აქ კიდევ იყო მრავალი შემთხვევები, რომლითაც ტრანსპორტის ინტერესები ეცემა და მისი ბიუჯეტი კი დეფიციტისაკენ მიდის. ეს ფული რკინისგზამ კი არა, თვით იმ ადმინისტრატიულ პერსონალმა უნდა გადაიხადოს საჯაროდ თავის ჯიბიდან, რომელთაც ბრალი მიუძღვით ასეთ ბნელ საქმეში, რომ ასეთ მოვლენას ერთხელ და სამუდამოდ მოეღოს ბოლო.

მუშკორი **ტაბაკინელი.**

[illegible]
(მილიციის [illegible] საყურადღებოდ).

ახალ სამების ქუჩაზე სახლი № 37 რომელიც ეკუთვნის ტეტუნაშვილს, სცხოვრობს ვინმე კიხილოვი ქუხმა, თავის ყოფაცხოვრებით და საზიზღრობით ეს ვაჟბატონი არ აძლევს მოსვენებას პატიოსან მცხოვრებთ. სულ მუდამ მთვრალი, ილანძღება და ჩხუბობს. ცოლიც არ ჩამოუვარდება ქმარს და ხშირ წვეულებებს მართავს „სტუმართათვის არც ერთი მეძავი ქალი არ იქნება ისე გარყვნილი, როგორც ეს ადამიანი მათზე უკვე ოქმი არა ერთხელ შედგენილა. მაგრამ ამაოდ.

საჭიროა ამას მიექცეს სერიოზული ყურადღება და სამუდამოდ ალაგმონ ეს უსირცხვილონი.

ამ სახლის გვერდით წითელარმიელთა ყაზარმაა და ამგვარი მეზობლობა არმიელთათვის არ არის სასურველი.

მუშკორი ნაპერწკალი.

ჩვენი პასუხი
ინფ. ედიშერაშვილს.
(იხ. „კომუნისტი“-ს № 289)

„კომუნისტი“-ს მე 289 ნომერში სათაურით: „განა ესეც პედაგოგია“ მოთავსებულ წერილის შესახებ აღმასკომის განათლების განყოფილებამ გვაცნობა, რომ განათლების განყოფილებიდან და ადგილკომიდან დანიშნულმა კომისიამ შემდეგი გამოარკვია: 1) არავითარი გადაჭარბებული მოქმედება ბაბიას მხრივ ედიშერაშვილისადმი არ ყოფილა, 2) არ ყოფილა ნახმარი ხიტყვა, „ქუჩის გოგო“, არამედ, როცა ედიშერაშვილის შეუფერებელი ქცევით ბაბია მოთმინებიდან გამოსულა, მას უთქვამს„ ნუ „მელაპარაკებით ქუჩის გოგოსავით, მომშორდით“-ო 3) თვით ედიშერაშვილი ცნობილია, როგორც რამდენიმეჯერ წესრიგის დამრღვევი და [illegible]. საბავშვო სახლების ბავშვთა ცაკმა გაარჩია ხსენებული საქმე და გადაუწყვიტა ედიშერაშვილს ბოდიში მოიხადოს მასწავლებელ ბაბიას წინაშე.

აღმასკომის საინფორმაციო მაგიდის გამგე **ვარდოსანიძე.**

პროვინციაში
ნიგოითი
(გურია)

ნიგოითის თემი შესდგება ხუთი სოფლისაგან, რომელნიც მდებარეობენ რკინის გზის ლიანდაგის პირად 12 ვერსის მანძილზე. აქაური მცხოვრებთა ცხოვრების უმთავრესი წყარო არის სიმინდი. აქა-იქ ზოგიერთ მცხოვრებთ აქვთ დაბლარი და მაღლარი ვაზები, რომლის მოსავალი იხარჯება მხოლოდ ოჯახის საჭიროებისათვის.

გასული წლის შემოდგომაზე მცხოვრებთა დიდი უმეტესობა შეუდგა ტროპიკული მცენარეების (მანდარინი, ლიმონი, ფორთოხალი) მოსაშენებლად მიწების დამზადებას, რომ ცოტა-ოდენი შემოსავლის წყარო გაეჩინათ მაგრამ მცხოვრებთა მისწრაფება ამ დარგისადმი გასული ზამთრის ყინვებმა სრულიად ჩაკლა, ვინაიდან თუ ვინმეს ჰქონდა აქა-იქ ეს მცენარე გაშენებული, გახმა. ამრიგად რჩება [illegible] შემნახველი იგივე სიმინდის მოსავალი, რომელიც ხშირად ტოვებს გლეხის ოჯახს დამშეულს. აქაური ნიადაგი ყოველგან ერთნაირი არ არის. მაგალითად, სოფელ ქვიანში გასულ წელს სიმინდის მოსავალი სრულებით არ იყო, ასეთივე მდგომარეობაშია აგრეთვე ქვიანის მოსაზღვრე სოფელი ჭყონაგვრის ნაწილი; მოუსავლობის გამო ამ სოფლების მცხოვრებნი განიცდიან უკიდურეს გაჭირვებას და ესაჭიროებათ დიდი დახმარება. დანარჩენ სოფლებში მოსავალს არაუშავდა, მაგრამ ოჯახის ათასნაირ მოთხოვნილებებმა ამათაც სასიმინდეები დაუცალა და ბევრი მათგანი სარჩო სიმინდით ამ წლის მოსავლამდე მოუმარაგებელი რჩებიან.

გასული წლის იანვარში აქ ცეკავშირმა გახსნა ერთიანი მომხმარებელი კოოპერატივი, რომელსაც სრულ პაიან (6 მან.) წევრები ძლიერ ცოტა ყავს, მაგრამ გამგეობის ენერგიულმა მუშაობამ კოოპერატივი ფეხზე დააყენა. გასული წლის პირველ ნახევარში მართალია გამგეობის მუშაობაში იყო პატარა დეფექტები არა ბოროტ-განზრახვით, არამედ უნებლიეთ მომხდარი, რომელიც გაითვალისწინა რწმუნებულთა ყრილობამ და კოოპერატივის მართვა-გამგეობა ისევ მათ ჩააბარა. დღეს კოოპერატივს აქვს პარკის სახმობი ფარდული, ფურნე და საჭირო ინვენტარი, გახსნილი აქვს ხუთი განყოფილება. წინედ თუ ხალხიდგან გაიგონებდით საყვედურებს „გადავყევით ლანჩხუთის კავშირში სიმინდის და პარკის ჩატანას და ამის საფასურის მიღებასო“, დღეს ხალხი მადლიერია, რომ მის ნაწარმოებს თავის სოფლის კოოპერატივში ასაღებს და საფასურსაც ხელზე ღებულობს დღეების გაუცდენლად.

ერ. ნიგოითელი.

მესამე ათასეულის მუშაობა სოფლად

ერთ მშვენიერ დილას ქალაქ ოზურგეთიდან გვესტუმრა მეხუთე ლეგიონის მესამე ათასეულის შემადგენლობა უფროს მეთაურებითა და წითელ არმიელებით.

მათთვე მოჰყვა ფურგუნი ზედ დაწყობილი საჭირო ინსტრუმენტებით, თან ახლდათ სპეციალურად წამოყვანილი ფოტოგრაფი და მზარეული.

დილის 8 საათზე გაიმართა მუშაობა, ერთი ჯგუფი თავიანთი ხელსაწყოთ ამუშავებდა და სთესვიდა მიწას, მეორე პწნიდა თუ ღობავდა ღობეს, მესამე ჯგუფი სხეპავდა ხეებს, მეოთხე კი იღებდა და ასუფთავებდა თხრილებს.

მუშაობის დაწყებისას გადაღებულ იქნა სურათი.

შუადღისას მათმა მზარეულმა მათივე მოტანილი მარაგით გაამზადა სადილი.

საღამოს დაბინდებისას გამოემგზავრენ ყაზარმებში სხვადასხვა სიმღერებით. ასე და ამ გვარად მესამე ათასეულის უფროსის ხელმძღვანელობით მიმდინარეობს მუშაობა ღარიბ წვევანდელთა შორის.

იმ დღეინდელმა მათმა დახმარებამ მომიმზადა მე მთელი წლის სარჩო და წრეულს უზრუნველ ჰყავს ჩემი ოჯახი. რისთვისაც მიუძღვნი უდიდეს მადლობას და სალამს მესამე ათასეულის უფროსს ამხ. მესხს და იმავე ათასეულის მეთაურსა და წითელარმიელებს, რომლებმაც გამიწიეს ასეთი დახმარება.

წვევანდელი **ე. ტულუში.**

პროვინციის ქრონიკა

— **წ.-კ. უცოდინარობის მომსპობი სკოლები** სიღნაღის მაზრაში დღემდე დაამთავრა 1992 მამაკაცმა და 104 ქალმა. სულ 2096.

— **სიღნაღში დაარსდა** ფიზკულტურის წრე, ჩაწერა შეუძლია ყველა მოქალაქეს.

— **კომკავშირელები ეხმარებიან ღარიბ გლეხებს.** სოფ. მაშნაარის (სიღ. მაზრა) ახ. კომკავშირის წევრებმა შემოიღეს შაბათობა. ამ დღეს უღარიბეს გლეხებს, ქვრივ-ობლებს და წითელარმიელის ოჯახებს უხნავენ, ვენახს უბარავენ და სხ.

— **სოფ. ბოდბეში** სასმელათ სახმარი წყაროები მოუვლელობით ნადგურდებიან და იბილწებიან, რაც საფრთხეს უქადის ხალხის ჯანმრთელობას.

— **ბაღის გაშენება.** სოფ. ნოსირის სათემო გლეხკომმა ადგილობრივ გააშენა ხილის ბაღი.

— **ავადმყოფთა დასახმარებლად.** მარნის (სენაკის მაზრა) სათემო გლეხკომმა დაიქირავა ეტლი, ავადმყოფთათვის სასწრაფო დახმარების აღმოსაჩენად.

— **გორის** აღმასკომმა მისწერა ყველა სახალხო სასამართლოებს, რომ მათ პირველ რიგში გაარჩიონ სასოფლო-სამეურნეო გადასახადის გამო აღძრული საჩივრები.

— **კოოპერაციის გაძლიერება.** სოფ. გომის სათემო გლეხკომმა ჩასწერა ადგილობრივ კოოპერატივის წევრებად თავის ხარჯზე 45 ღარიბი გლეხი.

— **თამოკონში** (სენაკის მაზრა ადგილობრივი გლეხკომი შეუდგა ფურნისა და სახარაზოს მოწყობას.

— **შორაპნის** სამაზრო გლეხკომს ამჟამად აქვს 8124 ფ. ხორბალი, 150 ფუთი მარილი, 514 ფ. ღვინო და 9.272 მ. ფულად.

— **სენაკის გლეხკომმა** გადასწყვიტა სენაკში გახსნას საკუთარი აფთიაქი და მოაწყოს სამჭედლო.

— **გორის მაზრის** გლეხკომს აქვს 2371 დღიური ხილის ბაღი, 182 დღიური ვენახი და 120 დღიური სათიბი.

იურიდიული რჩევა-დარიგება

მერგება თუ არა შრომის ხელფასი

კითხვა

თანახმად ლაგოდეხის რაიონის ა. ლ. კ. კ. დადგენილებისა დავინიშნე ლაგოდეხის რაიონის ფეხ-ბურთელთა ხელმძღვანელად—სიღნაღის კომიტეტის ა. ლ. კ. კ. ნებართვით. ამ უკანასკნელს უნდა ეძლია ჩემთვის თვეში **18 მანეთი და 20 კაპეიკი.** მე ამ თანამდებობაზე დავყავი ორ თვე ნახევარი და შემდეგ გადმოვედი ქ. სიღნაღში. როდესაც მე მოვითხოვე ჩემი კუთვნილი ჯამაგირი სამაზრო კომიტეტის მდივანმა ა. ლ. კ. კ. ჩემს განცხადებაზე დაადო რეზოლიუცია და უნდა მიმეღო მე ეს ფული, მაგრამ ვინაიდან მათ არ ქონდათ სათანადო თანხა, ამისათვის მთხოვეს, რომ შემევლო რამდენიმე დღის შემდეგ. მაგრამ მთელი ორი თვის სიარულის შემდეგ უარი განმიცხადეს: „რომ ჩვენ ფული არა გვაქვს და ვერ მოგცემთო“.

ვითხოვ განუმარტოთ სიღნაღის მაზრის ა. ლ. კ. კ. ფიზკულტურის საბჭოს, მერგება თუ არა მე ეს ფული და კანონიერია თუ არა მათი ასეთი ჩემდამი უყურადღებობა.

მეექვსე ლეგიონის მეცხრე ასეულის წითელარმიელი **სოკრატ ხვედელიძე.**

პასუხი

ის ორგანო, რომელმაც თქვენ სამსახურზე მოგიწვიათ (დაგიქირავათ) განსაზღვრული საქმისათვის განსაზღვრულ პირობებში, ვალდებულია მოგცეთ შრომის ხელფასი. ფულის უქონლობა დამქირავებელს სრულებით არ ანთავისუფლებს შრომის კანონების შესრულებისგან. დამქირავებელი ვალდებულია გამონახოს სათანადო წყარო და გაგისწორდეთ თქვენ პირველ რიგში.

რა რაოდენობით უნდა გადავიხადო წყლის და ბინის ქირა

კითხვა:

მე ვცხოვრობ ანდრიას ქუჩაზე სახ. № 78-ში. მყავს ცოლი და რვა შვილი, რომლებიც ჩემ მზრუნველობის ქვეშ იმყოფებიან. 5 შვილი სწავლობს და ერთი უმუშევარია, დანარჩენი მცირე-წლოვანი არიან. ჩემთან კიდევ სცხოვრობენ სიძე და ქალიშვილი თავის მცირე-წლოვან ბავშვით. გვიქირავს სამი ოთახი, რომელსაც ერთი გასავალი კარები აქვს. სივრცით ოთახები შეიცავენ 100 კვ. არშ. წინეთ სახლის ქირას ვაძლევდი 20 მან. თვეში. ექვსი თვე უსაქმოდ ვიყავი, რის გამოც კრიტიკულ მდგომარეობაში ჩავარდი და ოთხი თვის ქირა ვალად დამედვა.

სამი თვეა, რაც სამსახურში ვარ და ვიღებ თვეში **5 თუმანს.** სხვა შემოსავალი არა მაქვს; ვარ პროფკავშირის წევრი; ვმსახურობ ლიმონადის ხანაში. ვარ დაზღვეულიც (წიგნაკის № 50812.)

გთხოვთ მომცეთ რჩევა დარიგება თუ რამდენი უნდა მივცე სახლის პატრონს ქირა წარსულ 4 თვის და ეხლანდელის. აგრეთვე წყლის გადასახადი რა მეკუთვნისთ ვიურებ, რომ გადვიხადო.

ვ. ივ. კერესელიძე.

პასუხი.

უმუშევრობის მთელ დროის განმავლობაში, თქვენ როგორც პროფკავშირის წევრს და დაზღვეულს, საცხოვრებელ მოედნის თითოეულ კვადრატიულ არშინზე გადაგხდებათ **ერთი კაპეიკი;** სამუშაოზე დაშვების ღღიდანვე კი თითოეულ კვადრატიულ არშინზე გადაგხდებათ **სამი კაპეიკი,** სულ მთელი ბინისა კი თვიურად **სამი მანეთი; დახარჯული წყლის ყოველ ვედროზე გადაგხდებათ კაპეიკის ერთი მეოთხედი.**

კითხვა.

მე ვცხოვრობ წყნეთის ქუჩაზე სახ. №15-ში. ვარ თვითმშრომელთა კავშირში (მოწ. №1905) მიქირავს ერთი ოთახი სივრცით 25 კვ. არშინი ქვედა სართულში. სახლის პატრონს ვაძლევდი თვიურად ბინის ქირად 10 მანეთს, აპრილის თვის ჯერ არ მიმიცია. ძალიან შეწუხებული ვარ სახლის პატრონის ამ დიდი ქირისგან და უდიერი მოპყრობით. გთხოვთ განვიმარტოთ, თუ რამდენი მეკუთნის ბინის ქირა და რომ არ მიიღოს როგორ მოვიქცე?

თვითმშრომელი **ვ. ნიკოლაიშვილი.**

პასუხი.

თანახმად თბ. ქალ. აღმასკომის დადგენილებს მუხ. 10-ისა (იხ. „კომუნისტი“ №44 -1925 წლ. 22 თებრ.) თვითმშრომელთა კავშირის წევრები საცხოვრებელ ბინის თითოეულ კვადრატიულ არშინზე იხდიან ერთი შაურიდან ორშაურამდე.

პირადად თქვენ თვიურად ბინის ქირას გადაიხდით არა **უმეტეს ორნახევარი მანეთისა.**

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

დღეს, 29 აპრილს, საღამოს 6 საათზე საქართველოს კომპარტიის ცეკას ბინაზე შესდგება

ცეკას საორგანიზაციო კოლეგიის მორიგი სხდომა.

აუცილებლად უნდა გამოცხადდენ საორგანიზაციო კოლეგიის წევრები: ამხ. ათოევი (საქართველოს პროფკავშირთა საბჭო), მურავიოვი (რ. კ. პ. ა | კ. საოლქო კომიტეტი) სვანიძე ნ. (თბილისის კომიტეტი), სიხარულიძე ვ., რუხაძე ლ., გეურქოვი (საქ. ლენ. კომკავშირის ცეკა), აფციაური (შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი), ამხ. თაყაიშვილი, კოჩიაშვილი, კომახიძე და საქართველოს კომპარტიის ცეკას ყველა განყოფილებების და ქვე-განყოფილებების გამგეები თავ-თავიანთი ინსტრუქტორებით.

ვსთხოვთ ამხანაგებს ნუ დაიგვიანებენ.

საქართველოს კომპარტიის ცეკას საორგანიზაციო
კოლეგიის მდივანი: **ულენტი.**

მუშკორთა საყურადღებოთ.

— ხუთშაბათს, 30 აპრილს, საღამოს 6 საათზე, კლუბ „მუშათა ბეჭდვითი სიტყვის“ შენობაში (შესავალი ბარიათინსკის ქუჩიდან) შესდგება მუშკორთა გაზეთის საქმის შესასწავლი წრის მორიგი მეცადინეობა. მოხსენება ამხ. შახოვისა: „მუშათა ბეჭდვითი სიტყვის ისტორია რუსეთში“. მოხსენების შემდეგ გაიმართება პრაქტიკული მეცადინეობა. სავალდებულოა დროზედ გამოცხადება.

— საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომი წინადადებას აძლევს ქვემოდ დასახელებულ ამხანაგებს 2 დღის ვადაში გამოცხადდენ რაიკომის აღრიცხავ-სტატისტიკურ ქვე-განყოფილებაში.

1. პეტროსოვი რომის—კავკასიის წითელდროშოვანი არმიის შტაბის სტამბა, 2. ვართანოვი მირდატ—უჯ. № 11, 3. ავაქოვი მკრტიჩ—უჯ. № 11, 4. პაპაიანი გარეგინ—უჯ. № 14, 5. ქირიაკოვი ნიკიფორე—უჯ. № 14, 6. ბარანოვი იოსებ—უჯ. № 14, 7. მელაძე ერასტი—უჯ. № 31, 8. გალკინი ივანე—უჯ. № 30, 9. მუკაშიანი რუბენ—უჯ. № 43, 10. ბარანოვი ნიკოლოზ—უჯ. № 49, 11. აგონიანი არტემ—უჯ. № 49, 12. წერეთელი კონსტანტინე—უჯ. № 49, 13. გურგენიძე დომენტი—უჯ. № 48, 14. ეხალაძე ვენიამინ, უჯ. №48, 15. ლომიძე გიორგი—უჯ. № 48, 16. ანისიმოვა ფედოსი—უჯ. № 26, 17. ოგანესიანი გაიკ—უჯ. № 16, 18. როსოპაძე მათე—უჯ. № 16, 19. გეორგიშვილი თეოფილე—უჯ. № 16, 20. ტერ-აკოპოვი კარაპეტ—უჯ. № 16, 21. რაჭველიშვილი ერასტი—უჯ. № 16, 22. არამიანი ბარტოგ—უჯ. № 16, 23. მარტიროსოვი რუბენ—უჯ. № 12, 24. პოპოვი მიხეილ—უჯ. № 12.

— საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომი იტყობინება, რომ ხუთშაბათს, 30 აპრილს, საღამოს 6 საათზე, მბეჭდავთა კლუბის შენობაში შესდგება მბეჭდავთა უჯრედების პარტიის წევრთა და კანდიდატთა კრება.

დღის წესრიგი:

1) მბეჭდავთა კავშირის ეკონომიური მუშაობის შესახებ. მომხსენებელი კავშირის ფრაქციის მდივანი ამხ. ნიკიტინი. 2) საშეფო კომისიის მოხსენება (საყვარელიძე). 3) მიმდინარე საქმეები.

პარტიული დისციპლინის ძალით სავალდებულოა მბეჭდავთა უჯრედების წევრთა და კანდიდატთა გამოცხადება.

მდივანი **აკოფოვი.**

— დღეს, 29 აპრილს, საღ. 6 საათზე (ჩერქეზოვის ქუჩა № 108) შესდგება ლენინის რაიკომის მეოჯახე ქალთა საერთო კრება. სავალდებულოა ამ კრებაზე გამოცხადდეს რკ. გზ. მუშა-მოსამსახურეთა ოჯახის წევრი ქალებიდან ერთად რკ. გზ. სასწავლებლის დარაჯი ქალებიც.

— განათლების მუშათა სახლში ხუთშაბათს, 30 აპრილს, 1 საათზე მოწვეულია ლ. კომკავშირის ახალგაზრდობის ყოფა-ცხოვრების შემსწავლელ კომისიის სხდომა. ამ სხდომაზე მოწვეულია თბილისის ყველა შრომის სკოლების და ტეხნიკუმების გამგეები.

— დღეს, 29 აპრილს, საღამოს 5 საათზე, საქართველოს კომპარტიის ლენინის რაიკომის ბინაზე მოწვეულია „რემედასს“-ის უჯრედთა მდივნების თათბირი.

სავალდებულოა ყველას გამოცხადება დაუგვიანებლად.

— ქიმიის მეგობართა საზოგადოების მესამე რაიონის საბჭო იუწყება: დღეს, 29 აპრილს, სწორეთ საღამოს 6 ნახ. საათზე, მესამე რაიკომის საგ.-საპროპ. განყოფილებაში შესდგება საბჭოს სხდომა.

დასწრება სავალდებულოა საბჭოს ყველა წევრებისათვის.

— საჰაერო ფლოტის მეგობართა საზოგადოების მესამე რაიონის საბჭო იუწყება: დღეს, 29 აპრილს, საღამოს 7 საათზე მესამე რაიკომის საგ.-საპროპ. განყოფილების ბინაზე შესდგება საბჭოს სხდომა.

დღის წესრიგში დასმულია საქართველოში საზოგადოების არსებობის წლის თავის დღესასწაულის საკითხი.

დასწრება სავალდებულოა საბჭოს ყველა წევრებისათვის.

— საქართველოს ახალგაზრდობის ლენინური კომკავშირის თბილისის კომიტეტი წინადადებას აძლევს ქვემოდ დასახელებულ ამხანაგებს გამოცხადდენ ოთხშაბათს, 29 აპრილს, დღის სრულ 2 საათზე თბილისის კომიტეტის ბინაზე კომკავშირის თბილისის კომიტეტის საორგანიზაციო კოლეგიის სხდომაზე.

1. წიქარაძე ვლადიმერ, 2. სვანიძე რ., 3, გუშინი პეტრე, 4. აბგაროვა ბარბალე, 5. ტარვერდიანი აბრამ, 6. ვართანოვი გრიგოლ, 7. ნებიერიძე, 8. ანდრიანოვი, 9. ოსაძე დიმიტრე, 10. ზარუტსკი, 11. კორეივო, 12. რაზუვაევი, 13. კარაპეტიანი, 14. ცინცაძე მიხეილ, 15. ბაზალაშვილი არსენ, 16. ნიკოლოვი ვლადიმერ, 17. ტატულიანცი ლეონ, 18. ოგანეზოვი პეტრე, 19. კალანდაძე არიადნა, 20. არდაშელია კალისტრატე, 21. სევასტოვი, 22 ალიბეგოვი, 23. კოლბაია ნიკოლოზ, 24. კალაშნიკოვი პავლე, 25. ცანავა ივლიან, 26. ქლენტი ევტიხი, 27. ბერიძე პეტრე, 28. ხოჯომიროვი არამ, 29. ავტეევი მიხეილ, 30. კახიანი შალვა, 31. ბაირამოვი მუსებ, 32. ბაგიროვი რამიდ, 33. მელიქიანი სურენ, 34. კლიაჩკინი ალექსანდრე, 35. ხუმლარიანი სანაკსორ, 36. ასილიანი გიკ, 37. პოლოსიანი ვაგარშაკ, 38. კანაჩიანი სტეფანე, 39. ტიტანიანი არამ, 40. ქადაგიშვილი სოლომონ, 41. გომელაური ალექსანდრე, 42. ქებურია ვლადიმერ, 43. თუშიშვილი ანდრო, 44. ადამიანი ვარდო, 45. გლოდაკთიანი მარგარიტა, 46. ხუდიანი სათენიკ, 47. კანაჩიანი აიკანუშ, 48. გევენდიანი მარია, 49. გრიგორიანი რისიკ, 50. გუკასიანი სოფიო, 51. ბოყანიანი სირანუშ, 52. კაჩარიანი ნინა, 53. ტერ-ვართანოვი რუბენ, 54. დავითიანი მარია, 55. აირაპეტოვ ბარბალე, 56. კელხიდაშვილი გიორგი, 57. გასპარიანი არკადი, 58. აბოვიანცი სუსანა, 59. ტეწოკიანი აშოტ, 60. მიქაელიანი ლუსიკ, 61. ამირხანოვა ტანუშ, 62. ისრაელოვი რიზა, 66. კარამაზოვა მარიამ, 67. მელკუმიანი თამარა, 68. ცურინოვი ვასილ, 69. ვათიაშვილი ლეონ, 70. გამსახურდია, 71. გრიგორიანი გევორქ, 72. აზოტოვი არამ, 73. აკოპოვა რიზანა, 74. ლიახოვი გიორგი, 75. რისკოვი ვასილ, 76. ზასლავსკი ალექსანდრე, 77. რომანოვი ლეონტი, 78. ხუციშვილი, 79. ბეროზაშვილი ალექსანდრე, 80. ბაგატუროვი არმენ, 81. ნაზარიანი ნაზარ, 82. წულეისკირი, 83. მატარაძე, 85. მელაძე 86. ცინტლაძე, 87. მამიკონოვა ელენე, 88. ხორინა ელენა, 89. სპექტორი სარა, 90. რედზიკ კარლი, 91. ფალავანდიშვილი, 92. დანელიან არტაშეს, 93. პეტროსოვი ვლადიმირ, 94. გუსეიან სირანუშ, 95. ბაგიროვა მარიამ, 96. ლექავა შალვა, 97. მეზვრიშვილი ალექსანდრე, 98. აკოვლევი ანატოლი, 99. გასპაროვი გიორგი, 100. თორაძე შალვა, 101. მჭედლიშვილი იოსებ, 102. სტიხინა ალექსანდრა, 103. თამაზოვი ისაკი, 104. სალტიკოვა მარიამ, 105. მამიკონიანი გუარიკ, 106. მურადოვა ანნა, 107. ტუსუკი ანნა, 108. ჯიდარიონ, 109. შმულევიჩი, 110. არავა მარგო, 111. ხაჩლარიანი გენი, 112. ბაგდან სარა, 113. კაზანჯიანი ვართან, 114. შერსესიანი ლიუდვიგ, 115. მარინიანი სიმონ, 116. ლადირია ზოია, 117. გურგენიძე ელისაბედ, 118. გრიგორიანი აბელი, 119. ოგანესიანი ხორენ, 120. აკოპიანი გევორქ, 121. დარაქენკო მიხეილ, 122. ოკუჯავა მიხეილ, 123. ბურჯანაძე ვლადიმერ.

საქართველოს ახალგაზრდობის ლენინური კომკავშირის თბილისის
კომიტეტის მდივანი: გობეჩია.

განცხადებები

ალექსი ალექსანდრეს ძე, ვერა ერნესტის ასული, ლეონიდე ალექსის ძე და ელენე პლატონის ასული გეგეჭკორები აცნობებენ ნათესავთ და მეგობრებს, რომ აპრილის 26-ს სოფელ მარტვილში (სენაკის მაზრა) გარდაიცვალა ძვირფასი და დაუვიწყარი პირველისა—მამა, მეორეს—მამამთილი და უკანასკნელთა—პაპა

ალექსანდრე სვიმონის ძე გეგეჭკორი

დაკრძალვა აპრილის 29-ს, სოფელ მარტვილში, ნაშუადღევის 4 საათზე. ნ. 1176 1—1

დეკანოზი გიორგი გეგეჭკორი, მეუღლე მისი კატო და შვილები მათი ლადო, გრიგოლ და ნიკოლოზი აუწყებენ მეგობრებს და ნათესავებს, პირველის უფროსი ძმის და უკანასკნელთა საყვარელი ბიძის

ალექსანდრე გეგეჭკორის

ხანგრძლივ ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალებას სამეგრელოში, სოფ მარტვილში. დაკრძალვა დღეს იქვე. 1162 1—1

ვასილი სვიმონის ძე და ნადეჟდა ალექსანდრეს ასული გეგეჭკორები აცნობებენ ნათესავთ და მეგობრებს ძვირფასი მამის

ალექსანდრე სვიმონის ძე გეგეჭკორის

გარდაცვალებას. დაკრძალვა, აპრილის 29-ს, სოფ. მარტვილში, ნაშუადღევის 4 საათზე. 1—1 ნ. 1176

მარიამ დავითის ასული, თამარ ილიას ასული და ალექსანდრე ილიას ძე ჯავახიშვილები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ხუთშაბათს, აპრილის 30-ს, ვერის წმ. ნიკოლოზის სასაფლაოზე წირვის შემდეგ 12 საათზე გადახდილ იქნება ორმოცის პანაშვიდი დაუვიწყარი

ნატალია ილია ჯავახიშვილის ასულის

სულის მოსახსენებლად. 1167 1—1

სახელმწიფო ოპერა

ოთხშაბათს, 29 აპრილს
(სომხურ ენაზე) **ფაუსტი** (სომხურ ენაზე)
ტერ-დანიელიან და ისეჯის მონაწილ.
ხუთშაბათს, 30 აპრილს, სეზონის დახურვა
აბესალომ და ეთერი
ნ. 1178. 2—1

გაზ. „კომუნისტი“-ს კანტორა
რუსთაველის პრ. № 24
ტელეფონი № 10—49

გამოვიდა და იყიდება

ფ. ი. მიხალევსკის
პოლიტიკურ ეკონომიის დაწყებითი კურსი
ფასი 1 მ. 50 კ.
დაკვეთა და ცალობით შეძენა მხოლოდ გაზ. „კომუნისტი“-ს მთავარ კანტორაში
(რუსთაველის პროსპექტი № 24 მე-2 სართული).
678 0—7. გაზ. „კომუნისტი“-ს მთავარი კანტორა.

ელექტრონით და სინათლით
სამკურნალო
საწოლებით რენტგენი დარსონვალი
მიხეილ გედევანიშვილის სახელობის
რევიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურმეთოდებით ექიმობას საჭიროებენ
მიღება 2—3 და 6—8 სათ. თბილისი, კორდანოვის ქ № 20.
3203 25—8

ბალანსი

კახელ მევენახეთა კოოპერატიულ საზოგადოება „[illegible]“-სა 1-ლ აპრილისათვის 1925 წ.

ბიბლიოთეკა

აქტივი

1	კასსა	228—19	
2	პაები	13635—47	
3	ღვინო	15212—28	
4	ქონება უბრალო და მოძრავი	22241—19	
5	საქონელი	18022—52	
6	კასრები და ბუტები	5023—27	
7	ბოთლები	1306—77	
8	სანერგე	7348—52	
9	სხვადასხვა პირნი და დაწეს: ბანკის გან-ბა, ღვინო გაგზ. მოს-კოვში	33.500	
	გაც. ღვინო კოოპ. და დაწეს.	29402—42	
	კახეთში გაც. ღვ. კოოპ. და ჩ | გან-ას	43.500	106402—42
10	ავანსი საპასუხისმგებლო	1552—88	
11	მიმდინარე ხარჯები	41794—92	232768-43
	ბალანსი		232768-43

მთავარი ბუხჰალტერი **გრ. გულაშვილი**

ნის. 1178 1—1.

პასივი

1	თანხა საპაიო	1454—64	
2	„ სათადარიგო	15000—	
3	„ ძირითადი	3130—20	
4	სპეციალური მიმდინარე ანგარიშები	7500—	
5	გაცემული თამასუქები	40915—05	
6	წევრები საზოგადოებისა	5217—39	
7	სხვადასხვა პირნი და დაწესებულებანი	79579—15	
8	მოგება 1923 | 24 საოპერაციო წლისა	121—16	
9	შემოსავალი გაყიდულ ღვინიდან და სასმელებიდან (Br-tto)	79850—84	232768-43
	ბალანსი . . .		2327768-43

გამგეობის თავმჯდომარე **ზ. ჩიტლაძე**
გამგეობის წევრი **ლ. გოგნიაშვილი**

ა-კ. ფინსახკომის საქართველოში რწმუნებულის სამმართველოს გადასახადთა განყოფილება

აცხადებს სახელმწიფო, კომუნალურ, პარტიულ, პროფესიონალურ და სხვა დაწესებულებათა და საწარმოოთა საყურადღებოდ, რომ ა | კ. ფინსახკომის რწმუნებულის საქართველოში განცხადებაში, რომელიც დაბეჭდილი იყო გაზეთ „კომუნისტი“-ს 1925 წლის 23 აპრილის 91 (1246) №-ში, დაშვებულია შეცდომა, რომელიც უნდა შესწორებულ იქნეს შემდეგი წესით: 1924—1925 საბიუჯეტო წლის მეორე საგადასახადო ნახევარ წლისთვის (აპრილი-სექტემბერი) საშემოსავლო გადასახადის ძირითადი განაკვეთები უნდა გამოანგარიშებული იქნეს მუშების, მოსამსახურეების და პენსიონერებისაგან არა 1925 წლის თებერვალ-მარტში ფაქტიურათ მიღებულ საშუალო ხელფასის მიხედვით, როგორც ეს ნათქვამია შენიშვნაში, არამედ 1924 წ. ოქტომბრიდან 1925 წ. მარტამდე, ე. ი. წინა საგადასახადო ნახევარ წელში მიღებულ ჯამის მიხედვით, როგორც ეს დაწესებულია საშემოსავლო გადასახადის აკრეფის ინსტრუქციის 123 §-ში.

აღნიშნულ ნახევარ წლის საშემოსავლო გადასახადი ძირითადი განაკვეთები უნდა დაკავებულ იქნეს მუშების, მოსამსახურეების ჯამაგირიდან და პენსიონერების პენსიიდან ექვსი თვის განმავლობაში ყოველ თვიურათ თანაბარ ნაწილებით, დაწყებული 1925 წ. ივლისიდან.

გადასახადთა განყოფილების მმართველი—**ჯაფარიძე.**
პირდაპირ გადასახადთა ქვეგანყოფილების გამგე
ბეზირგანიშვილი.

1—1 ნ. № 1179

საქ. კომპ. ცეკას გამომცემლობათა მთავარ კანტორის და ბეჭდვითი სიტყვის ექსპედიციის განცხადებათა შემკრებ აგენტის მოქ.

დავით ფარნაოზისძე ქავთარაძის სახელზე

გაცემული მოწმობა 1925 წ. იანვრის 3 თარიღით № 14

გაუქმებულია

რადგან აღნიშნული პირი, მოქ. ქავთარაძე, აღარ ითვლება გამომცემლობის აგენტად და იგი მიცემულია პასუხისგებაში.

გამომცემლობის მთავარი კანტორა და ექსპედიცია

4—1

ექიმი
გ. გ. მეგრაბიანცი

ავადმყოფობა ფილტვების, გასული ტუბერკულოზის. სპეცმკურნალობა მალიარიისა. **ელექტრო-სხივებ-რენტგენის სამკურ. კაბინეტი, ფოტოგრაფია და მკურნალობა რენტ. სხივებით.**

მიღება დილის 9—1 ს. და საღამოს 5—8 ს. ბებუთოვის ქ. № 23.
2746 25—13

ექიმი
დ. ა. გალუსტიანი

შინაგანი, კანის, ვენერიული (მწვავე და ქრონიკული ტრიპერი), სიფილისი.

მიღება დილის 8-დან 11-დე და საღამოს 5-დან 8 საათამდე.

ქალების მიღება დღის 12-დან 1 საათამდე.

ელისაბედის ქ. № 77, მეორე სახლი კირკის ქუჩის კუთხიდან.
482 25—10.

ექიმი
ა. ს. ფონ-ირტელი

(მიხეილის პროსპექტი, 10, ვორონცოვის ხიდის მახლობლად ყოფ. ბომონდი).

გარდა საექიმო, სიფილისის და ქირურგიულ ავადმყოფობათ (სისხვენების, ბუასილის, სქესობრივი სისუსტე, ტრიპერის) სპეციალისტი. საავადმყოფების მიღება დილის 8 თიდან 12 საათამდე და 4—7 საათამდე.
25—12

ამიერ-კავკასიის რკინის გზათა სამმართველო

ამით აცხადებს,

რომ 1925 წლის პირველი მაისიდან შემოღებული იქნება სამგზავრო მატარებლების მიმოსვლის შემდეგი საზაფხულო ცხრილი სად. თბილისში.

სამგზავრო მატარებლების მიმოსვლის ცხრილი 1925 წლის 1 მაისიდან

თბილისიდან მიმავალი მატარებლები:

სასწრ. მატ.	№ 1	გადის	მოსკოვამდე	23 ს. 55 წ.	ოთხშაბათობით,	მიდის	მოსკოვში	16 ს. 45 წ.	კვირაობით
„ „	№ 1	„	ლენინგრადამდე	23 „ 55	„ კვირაობით,	„	ლენინგრადში	10 „ 40	„ პარასკეობით
საფოსტო	№ 3	„	როსტოვამდე	9 „ 25	„ ყოველდღიურად,	„	როსტოვში	5 „ 30	„ ყოველდღიურ.
„	№ 3	„	ჯულფამდე	18 „ 00	„ „	„	ჯულფაში	22 „ 15	„ „
„	№ 4	„	ბათომამდე	23 „ 00	„	„	ბათომში	12 „ 45	„
„	№ 3 კახ.	„	თელავამდე	23 „ 25	„	„	თელავში	7 „ 30	„
სამგზავრო	№ 7	„	ბაქომდე	14 „ 40	„	„	ბაქოში	7 „ 15	„
„	№ 8	„	ბათომამდე	16 „ 30	„	„	ბათომში	4 „ 15	„
„	№ 10	„	ფოთამდე	7 „ 55	„		ფოთში	20 „ 45	„
„	№ 18	„	ბორჯომამდე	13 „ 20	„	„	ბორჯომში	17 „ 45	„
	№ 20	„	„	14 „ 20	„	„	„	20 „ 00	„
სამგზ.-საბ.	№ 21	„	ბაქომდე	19 „ 20	„	„	ბაქოში	23 „ 55	„
„	№ 22	„	ბათომამდე	21 „ 00	„	„	ბათომში	22 „ 25	„
„	№ 21-ე	„	ერევნამდე	7 „ 35	„	„	ერევანში	8 „ 10	„
„	№ 21 კახ.	„	წნორის წყლამ.	9 „ 00	„	„	წნორის წყალში	17 „ 55	„

თბილისში მომავალი მატარებლები:

სასწრ. მ.	№ 2	გამოდის	მოსკოვიდან	ხუთშაბათობით	15 ს. 30 წ.	მოდის	თბილისში	5 ს. 45 წ.	ორშაბათობით
	№ 2	„	ლენინგრადიდან	კვირაობით	23 „ 00 „	„	„	5 „ 45	პარასკევობით
საფოსტო	№ 4	„	როსტოვიდან	ყოველდღე	23 „ 50 „	„	„	21 „ 05	ყოველდღე
„	№ 3	„	ბათომიდან	„	17 „ 05 „	„	„	7 „ 30	„
„	№ 4-ჯ.	„	ჯულფიდან	„	6 „ 40	„	„	11 „ 30	„
„	№ 4-კახ.	„	თელავიდან	„	9 „ 30		„	17 „ 45	„
სამგზავრ.	№ 7	„	ბათომიდან	„	1 „ 00		„	13 „ 10	„
„	№ 8	„	ბაქოდან	„	21 „ 15		„	14 „ 50	„
„	№ 9	„	ფოთიდან	„	5 „ 30		„	19 „ 40	„
„	№ 17	„	ბორჯომიდან	„	23 „ 30		„	4 „ 25	„
„	№ 19		„	„	1 „ 10		„	6 „ 45	„
სამ.-საბ.	№ 21		ბათომიდან	„	4 „ 00		„	3 „ 45	„
„	№ 22	„	ბაქოდან	„	7 „ 00		„	13 „ 15	„
„	№ 22-ე	„	ერევნიდან	„	21 „ 15		„	22 „ 00	„
„	№ 22-კახ.	„	წნ.-წყალიდან	„	19 „ 35		„	5 „ 25	„

შენიშვნები: 1) საათები ნაჩვენებია მოსკოვის დროით, რომელიც ჩამორჩება ადგილობრივ დროს ერთი საათით.

2) № 1 და 2 მატარებლებში მოიპოვება თითო რონოდა პირდაპირ მიმავალი ბათომამდე, ბორჯომამდე და ერევნამდე და ორი საბარგო რონოდა, რომელშიაც მიიღება ის ტვირთები, რომლებიც მალე ხდება და აგრეთვე ცენტრში გადასაგზავნი ბარგები.

3) № 9 და 10 მატარებლებს ყოველდღიურად დაჰყვება სამი რონოდა პირდაპირ მავალი თბილის-ქუთაის შორის, ხოლო № 19 და 20 მატარებლებს—ერთი რონოდა თბილის-სურამს შორის.

4) ახალ ცხრილზე გადასვლის გამო 30 აპრილს მატარებელი № 3 თბილისიდან ჯულფამდე წავა ერევანში შესვლით ახალი ცხრილის მიხედვით, ხოლო მატარებელი № 10 ფოთამდე და № 21 გურჯაანამდე 30 აპრილისათვის მოიხსნება. 1 მაისიდან მატარებლები № 21 და 22 ბათომამდე და ბაქომდე ივლიან საკლასო რონოდებით მგზავრებისათვის, ამავე დროს მატარებლის როსტოვში გასაგზავნად 29 აპრილს თბილისიდან ბაქოში მატ. № 21 წავა საკლასო რონოდებით ძველი ცხრილის მიხედვით, ე. ი. თბილისიდან გავა ღამის 1 საათზე და 30 წუთზე.

ნ. 1174. 2—1

ექიმი
ი. დ. თოფურიძე

ქუჩა კალინინის (ყოფილი ნიკოლოზის) № 33.

იღებს ავადმყოფებს

კანის, სიფილისი და ვენერიული (მწვავე და ქრონიკული ტრიპერი, აგრეთვე საქესო ორგანოს განყოფილებები) დილის 8—9 საათ. დის, საღამოს 4—8 საათამდე.
25—17

ექიმი **ვ. ნ. ჩურინინი**

საბჭოთა ქ. № 87 (ყოფ. ზრანეშვილის)

შინაგანი და ბავშვთა ავადმყოფობანი, ვენაში შეშხაპუნება.

მიღება დილით 10—11 საათ.
25—22 საღამოს—5—6 საათ.

ა. მ. მძინარაშვილი

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულება

ავადმყოფების მიღება: 1—2 ს. დ. 6—8 ს. საღამოთი; ქალების და ბავშვების 5—6 ს.

მისამართი: რუსთაველის პროს. № 1 შესავალი კრუზენშტერნის ქუჩიდან.
25—10

ექიმი
ნ. ა. ჯანდიერი

შინაგანი და ქალთა ავადმყოფობანი. იღებს ავადმყოფებს საღამოს 4—7 საათამდე.

სომხის ბაზარი № 3.
№ 202
25—1

ექიმი
ა. დ. კეკელია

სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობა

მიღება: დილის 9—11 საათ. საღამოს 5—8. პლეხანოვის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ. № 3203. 25—11

ექიმი
მ. ა. ლუკოვსკი

სიფილისი, კანის და ვენერიული ავადმყოფობანი

ავადმყოფების მიღება დილის 9 საათიდან—11 საათამდე და საღამოს 4 საათიდან—6 საათამდე; ქალების მიღება 1 საათიდან—2 საათამდე.

საპიორის ქუჩა № 35, ყოფილი კადეტ. კორპ. უკან.
25—2

კბილის ექიმი
ფ. თ. რატიანი თუხარელისა

კბილის და ღძილის ავადმყოფობა ხელოვნური კბილები. მიღება 12—4 საათამდე და 5—7 საათ. ბარიატინის ქუჩა № 18 (ალექსანდროვის ბაღის პირდაპირ)
25—18

დაიკარგა მოწმობა პირადობის და მოწმობა ბოლშევიკ 7 წლ. სკოლის ბეჭდის შესაძენად გაცემ. იასონ ლუკასძის კაპანაძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.
1—1 1160.

დაიკარგა მეტრიკული ამონაწერი ქეთო ნიკოლოზის ასულის ხომასურიძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.
1—1 1161.

დაიკარგა პირადობის და მეტრიკული მოწმობა გაცემული სოფელ მაღლაკის აღმასკომიდან, იოსებ თედორეს ძე მარდალეიშვილის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.
1—1 1159.

დაიკარგა პირადობის მოწმობა № 132 მიხეილ ნიკოლოზის ძე მაღრაძეს სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.
1—1 1165.

დაიკარგა საბჭოთა მუშაკების საწევრო წიგნაკი № 845 და პირადობის მოწმობა გაცემულ მილიციის სამმართველოდან № 3573 ალექსი ელიავას სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.
1—1 1164.

დაიკარგა პირადი წიგნაკი გაცემული რაჭის მაზრის სამხედრო მაგიდის გამგისაგან გრიგოლ ალექსის ძე იმნაძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.
1—1 1163.

„ზარია ვოსტოკა“-ს სტამბა, სახ. წულუკიძის ქ. № 4